Наше внимание из хелатирующих агентов было обращено на нитрилтриуксусную кислоту и нами синтезированы хелаты некоторых микроэлементов (Mg, Mn, Zn, Fe, Co, Cu) с НТА. При синтезе использовали ацетаты Mg(II), Mn(II), Zn(II), Fe(II), Co(II) и Cu(II),

Для синтеза новых соединений перечисленных металлов с $H_3NТА$, ацетаты растворяли в воде при комнатной температуре, а нитрилтриуксусную кислоту – в воде при добавлении NH_3 . Растворы ($pH=5-7$) смешивали в молярных соотношениях $MX_2:L=1:1$ и $MX_2:L=2:3$ и кипятили на водяной бане. При полном выпаривании смесей выделившиеся порошкообразные вещества промывали бензолом или эфиром и сушили на воздухе.

Состав синтезированных соединений устанавливали элементным анализом, а индивидуальность – определением температур плавления.

Содержание металлов в комплексных соединениях определяли весовым методом в виде сульфатов или оксидов металлов. Элементы С, Н, N в синтезированных соединениях определяли посредством “С, Н, N анализатора“ венгерского производства.

Все соединения устойчивы на воздухе, разлагаются при температуре 200^0-300^0C , хорошо растворимы в воде и сравнительно слабо в органических растворителях.

Таблица 1. Результаты химического анализа соединений металлов с нитрилтриуксусной кислотой

| | соединения | найдено, % | | | | вычислено, % | | | |
|----|----------------------------------|------------|-------|------|------|--------------|-------|------|------|
| | | М | С | Н | N | М | С | Н | N |
| 1 | $Mg \cdot HNTA \cdot 6H_2O$ | 7.41 | 22.26 | 5.75 | 4.15 | 7.55 | 22.41 | 5.90 | 4.35 |
| 2 | $Cu \cdot HNTA \cdot 4H_2O$ | 19.55 | 22.08 | 4.55 | 4.17 | 19.57 | 22.19 | 4.65 | 4.31 |
| 3 | $Fe \cdot HNTA$ | 22.72 | 29.31 | 2.81 | 5.66 | 22.79 | 29.42 | 2.88 | 5.72 |
| 4 | $Zn \cdot HNTA \cdot H_2O$ | 24.03 | 26.44 | 3.19 | 5.07 | 23.99 | 26.45 | 3.33 | 5.14 |
| 5 | $Co \cdot HNTA \cdot 2H_2O$ | 20.34 | 25.18 | 3.68 | 4.87 | 20.74 | 25.37 | 3.90 | 4.93 |
| 6 | $Mn \cdot HNTA$ | 22.45 | 29.38 | 2.87 | 5.72 | 22.51 | 29.53 | 2.89 | 5.74 |
| 7 | $Mg_2 \cdot (NТА)_3 \cdot 5H_2O$ | 6.42 | 29.81 | 4.55 | 5.28 | 6.86 | 30.53 | 4.70 | 5.93 |
| 8 | $Zn_2 \cdot (NТА)_3 \cdot 2H_2O$ | 17.91 | 29.05 | 3.48 | 5.37 | 17.75 | 29.34 | 3.70 | 5.71 |
| 9 | $Cu_2 \cdot (NТА)_3 \cdot 2H_2O$ | 17.33 | 29.14 | 3.62 | 5.66 | 17.36 | 29.51 | 3.71 | 5.73 |
| 10 | $Fe_2 \cdot (NТА)_3 \cdot 3H_2O$ | 15.09 | 29.12 | 3.98 | 5.47 | 15.19 | 29.41 | 4.11 | 5.72 |
| 11 | $Co_2 \cdot (NТА)_3 \cdot H_2O$ | 16.64 | 30.48 | 3.54 | 5.82 | 16.71 | 30.65 | 3.57 | 5.96 |
| 12 | $Mn_2 \cdot (NТА)_3 \cdot 2H_2O$ | 15.22 | 29.94 | 3.39 | 5.76 | 15.36 | 30.52 | 3.52 | 5.87 |

С целью установления характера связи металл-лиганд, дентатности лигандов, способа координации молекул нитрилтриуксусной кислоты ($H_3NТА$), нами изучены ИК спектры

поглощения ($400-4000\text{ см}^{-1}$) комплексных соединений некоторых биометаллов (Mg, Mn, Co, Cu, Zn, Fe) с вышеуказанным лигандом.

Таблица 2. Некоторые свойства соединений металлов с нитрилотриуксусной кислотой

| № | соединения | T, пл. T ⁰ C | растворимость | | |
|----|---|----------------------------|---------------|--------|------|
| | | | вода | этанол | ДМФ |
| 1 | Mg·HNТА· 6H ₂ O | - | + | сл.р | - |
| 2 | Cu·HNТА· 4H ₂ O | 225 | + | сл.р | сл.р |
| 3 | Fe·HNТА | 230 | + | сл.р | сл.р |
| 4 | Zn·HNТА· H ₂ O | - | +т | +т | + т |
| 5 | Co·HNТА· 2H ₂ O | - | + | сл.р | сл.р |
| 6 | Mn·HNТА | 320 | сл.р | - | - |
| 7 | Mg ₂ ·(NТА) ₃ · 5H ₂ O | 178 | + | - | сл.р |
| 8 | Zn ₂ ·(NТА) ₃ · 2H ₂ O | 243 | + | - | сл.р |
| 9 | Cu ₂ ·(NТА) ₃ · 2H ₂ O | 260 | + | сл.р | сл.р |
| 10 | Fe ₂ ·(NТА) ₃ · 3H ₂ O | 126 | + | +т | + т |
| 11 | Co ₂ ·(NТА) ₃ · H ₂ O | 243 | + | сл.р | + т |
| 12 | Mn ₂ ·(NТА) ₃ · 2H ₂ O | 245 | + | +т | + т |

Спектры записывали на спектрофотометре Перкин-Эльмер 180, используя методику прессования образцов в виде таблеток с КВг.

Рассмотрение ИК спектров поглощения исследуемых соединений типа Zn·HNТА· H₂O и Co·HNТА· 2H₂O показывает, что в области $3010-3600\text{ см}^{-1}$ наблюдаются широкие сложные полосы поглощения валентных колебаний связей N-H третичного азота нитрилотриуксусной кислоты и OH групп молекул воды. Эти полосы смещены в сторону низких частот по сравнению со спектром свободного тетраденатного лиганда (H₃NТА), что указывает на связь последнего с металлом (M→N).

Для соединений Co₂·(NТА)₃· H₂O и Zn₂·(NТА)₃· 2H₂O вышеуказанные широкие полосы поглощения валентных колебаний связи N-H не наблюдаются, что указывает на отсутствие этой связи.

Несмотря на то, что структуры соединений металлов с (H₃NТА) слишком сложны для какой-либо их теоретической обработки, исследование ИК спектров оказывается все – таки полезным для различия неионизированных, координационно связанных и свободных групп COO⁻. В спектрах соединений Co(II) полоса валентного колебания координационной группы COO⁻ лежит в пределах $1650-1660\text{ см}^{-1}$, а в соединениях Zn(II) отмеченные полосы наблюдаются несколько ниже, в пределах $1610-1640\text{ см}^{-1}$. Полоса валентного колебания некоординированной группы COO⁻ лежит в пределах $1750-1700\text{ см}^{-1}$, что соответствует литературным данным [4-5].

Таблица 3. Колебательные частоты (см^{-1}), найденные в ИК спектрах поглощения нитрилотриуксусных комплексных соединений

| | отнесение | Co·HNТА· 2H ₂ O | Co ₂ ·(NТА) ₃ · H ₂ O | Zn·HNТА· H ₂ O | Zn ₂ ·(NТА) ₃ · 2H ₂ O |
|---|---|--|--|--|---|
| 1 | ν (NH) ν (OH) | широкая сложная полоса 2980-3550 | - | широкая сложная полоса 3010-3550 | - |
| 2 | ν (CO) δ (H ₂ O) | 1650 | 1660 | 1640 | 1610 |
| 3 | ν (CN) ν (CC) ν (CO) | 1440 | 1425 | 1445 | 1420 |
| 4 | ν (M-N) ν (M-O) | 610 430 | 560 445 | 610 425 | 550 460 |

Как видно отмеченные полосы в спектрах смещены в сторону длинных волн по сравнению с соответствующими полосами свободного H_3NTA и это, вероятно свидетельствует о координации лиганда с катионом через атом кислорода карбоксильных групп.

Найденные в спектрах $Co \cdot HNTA \cdot 2H_2O$ и $Co_2 \cdot (NTA)_3 \cdot H_2O$, $Zn \cdot HNTA \cdot H_2O$ и $Zn_2 \cdot (NTA)_3 \cdot 2H_2O$ полосы поглощения при 430 см^{-1} и 445 см^{-1} , 425 см^{-1} и 460 см^{-1} отнесены к валентным колебаниям Co-O и Zn-O соответственно. А полосы между 610 см^{-1} и 560 см^{-1} (Co(II)) 610 см^{-1} и 550 см^{-1} (Zn(II)) можно приписать валентным колебаниям M-N в этих комплексах [4].

На основе изученных ИК спектров вышеуказанных соединений, можно предположить получение моно- и полинитрилтриацетатов Co(II) и Zn(II) образующих пятичленные металлоциклы. В частности, в комплексах M: L=1:1 нитрилтриуксусная кислота насыщает менее половины координационных мест “своего” катиона и в твердой фазе формируются полимеры за счет дополнительных мостиковых координационных связей. У би- и полинитрилтриацетатов координационная сфера металла насыщена донорными атомами “своих” лигандов и сшивки за счет координационных связей между анионами комплексогена не образуются [6].

ლიტერატურა – REFERENCES – ЛИТЕРАТУРА

1. Дятлова Н.М., Темкина В.Я., Попов К.И. Комплексоны и комплексоны металлов. М. Химия. – 1988. 544с.
2. Микроэлементы в сельском хозяйстве / Под ред. с.ю. Булыгина. – Днепропетровск. Днепркнига. - 2003. 80с.
3. С.Ю.Булыгин, Л.Ф.Демидов, В.А.Доронин, А.С.Заришняк, Я.В.Пащенко, Ю.Е. Туровский, А.И.Фатеев, М.М.Яковенко, А.И.Кордин. Микроэлементы в сельском хозяйстве. Днепропетровськ, “Січ”, 2007.
4. К. Накамото. Инфракрасные спектры неорганических и координационных соединений. Изд-во “Мир“, Москва, 1966. 411ст.
5. К. Наканиси. Инфракрасные спектры и строение органических соединений. Изд-во “Мир“, Москва, 1965. 214ст.
6. К.И Попов, Н.Д.Митрофанова, Л.А. Макаревич. Науч.тр.ВНИИ химических реактивов и особо чистых химических веществ. 1990. №52, ст.74-76.

ზოგიერთი მიკროელემენტის და ნიტრილოტრიამარმჟავას შემცველი ხელატები

სპარტაკ უროტაძე, ნანა ჯორჯოლიანი, იამჯე ბეშკენაძე, მაია გოგალაძე, თამარ საყვარელიძე,
ლია გოგუა

პეტრე მელიქიშვილის ფიზიკური და ორგანული ქიმიის ინსტიტუტი
რაზიუმე

სინთეზირებულია მიკროელემენტების (Mg, Mn, Zn, Fe, Co, Cu,) შემცველი ხელატური ტიპის ნაერთები ნიტრილოტრიამარმჟავასთან (H_3NTA). მიკროელემენტური ანალიზის საფუძველზე დადგენილია ხელატების ბრუტო ფორმულები. შესწავლილია მათი ზოგიერთი ფიზიკურ-ქიმიური თვისება (თვისობრივი ხსნადობა სხვადასხვა გამხსნელში, ლღობის ტემპერატურა). ნაერთების იწ შთანთქმის სპექტრების კვლევის საფუძველზე დადგენილია ხუთწევრა მეტალოციკლების წარმოქმნა და მეტალ-ლიგანდის ბმის ხასიათი. გამოთქმულია მოსაზრება მათი სავარაუდო აღნაგობის შესახებ.

SOME MICROELEMENTS- AND NITRILOTRIACETIC ACID CONTAINING CHELATES

Spartak Urotadze, Nana Zhorzholiani, Jamze Beshkenadze, Maya Gogaladze, Tamar Sakvarelidze,
Lia Gogua

Petre Melikishvili Institute of Physical and Organic Chemistry

SUMMARY

Chelate type compounds containing microelements (Mg, Mn, Zn, Fe, Co, Cu) have been synthesized with nitrilotriacetic acid (H_3NTA). Gross formulas of chelates have been defined on the base of microelement analysis. Some physical and chemical properties (qualitative solubility in various solvents, melting temperature) have been investigated; formation of five-term metalocycles and character of metal-ligand bond – have been determined by IR absorption spectral study. The opinion has also been offered on the supposed structure of the synthesized compounds.

ბროწეულის კურკის ზეთის ექსტრაქცია სუპერკრიტიკული CO₂-ის გამოყენებით

მზია ვაჩიშვილი, რუსუდან დეკლარიანი, მზია ციცავი

პეტრე მელიქიშვილის ფიზიკური და ორგანული ქიმიის ინსტიტუტი

ბროწეული (*Punicagranatum L*) ერთ-ერთი ყველაზე ძველი საკვები ხილია და მიეკუთვნება *Punicacea*-ს ოჯახს. იგი ძირითადად გავრცელებულია ხმელთაშუა ზღვის არეალში და მის აღმოსავლეთით. საქართველოში ბროწეული გაშენებულია უმთავრესად კახეთში, ქართლში, იმერეთსა და აჭარაში. ნარგავობის საერთო ფართობია 400,17 ჰა. გვხვდება ბროწეულის შემდეგი ჯიშები: ვარდისფერი გულოშა, სალავათური, ყირმიზი-ყაბუხი, შაჰ-ნარი.

საკვებად გამოსაყენებელი ნაწილი ნაყოფის მასის 52%-ს შეადგენს, აქედან 78% წვენი, ხოლო 22% – კურკა. ბროწეულის კურკა შეიცავს საკმაოდ დიდი რაოდენობით ზეთს. მაგ., ზოგიერთ ირანულ ჯიშში ჯამური ლიპიდური შემცველობა მშრალ მასაზე გადაანგარიშებით 66-193 გრამია 1 კგ-ში.

კურკა ბროწეულის წვენის წარმოების ნარჩენია და შეიცავს ვიტამინ E-ს, სტეროლს და 9c11z, 13c ოქტადეკატრიან მჟავას. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ ამ ზეთს აქვს ბიოლოგიური აქტივობის ფართო სპექტრი, როგორცაა ანტიოქსიდანტური და ანტიკანცეროგენული, ანტიაგიოგენური აქტივობა და იმუნომოდულატორული თვისება. ბროწეულის ზეთი მაღალი ხარისხის ზეთია, რომელიც სასარგებლოა ჯანმრთელობისათვის. ბროწეულის კურკის ზეთი მოყვითალო ფერისაა, სასიამოვნო სუნით. იმ ექვს მცენარეს შორის, რომელიც შეიცავს შეუღლებულ ცხიმოვან მჟავებს, ეს ნივთიერებები არ არის არც ერთ სხვა ადვილად მოსაპოვებელ მცენარის ზეთში, გარდა ბროწეულისა. შეუღლებული ცხიმოვანი მჟავები იმით არის მნიშვნელოვანი, რომ ისინი ახდენენ ეიკოსალონების მეტაბოლიზმის ინჰიბირებას, პროსტაგლანდინების სინთეზს არაქილონის მჟავადან, რაც მათ ხდის ანთების საწინააღმდეგო მნიშვნელოვან ბუნებრივ საშუალებად.

ბროწეულის კურკის ზეთი გამოიყენება პარფიუმერიასა და კოსმეტიკაში. ის არის შესანიშნავი დამატენიანებელი და მკვებავი საშუალება, გამოიყენება კანის მოსავლელად როგორც ასაკოვანი, ისე მოწიფული მშრალი, დახეთქილი, გაღიზიანებული და გარუჯული კანისთვის. ეს ზეთი გამოიყენება აგრეთვე დამწვრობის, ეგზემის, ფსორიაზის დროს.

ბროწეულის კურკის ზეთი:

- ახდენს კანის სტიმულაციას და აღდგენას;
- კანს ანიჭებს სასიამოვნო ფერს;
- იცავს კანს თავისუფალი რადიკალებისაგან;
- ეხმარება კოლაგენის გამოყოფას;
- კანს იცავს უკუჩვენებებისაგან მზით დამწვრობის დროს.

საკვლევად შერჩეული იქნა საქართველოში გავრცელებული ბროწეულის ჯიშ „ვარდისფერი გულოშა“. წვენის გამოწურვის შემდეგ დარჩენილი კურკა გაირეცხა და გაშრა 60°C-ზე. ზეთის ექსტრაგირებას ვახდენთ როგორც ორგანული გამხსნელებით (ჰექსანი, პეტროლეინის ეთერი) სოქსლეტის აპარატში, ასევე სუპერკრიტიკული CO₂-ით ექსტრაქციის (სფე) მეთოდით. შეირჩა სფე-ს ოპტიმალური პირობები.

ჰექსანითა და პეტროლეინის ეთერით ზეთის ექსტრაქციის დროს გამოსავალი ერთნაირია (12,5%), სფე-ს შემთხვევაში პირობების მიხედვით მერყეობს 8%-დან 11,5%-მდე.

ცხრილი 1. სუპერკრიტიკული ექსტრაქციის პირობები და გამოსავალი

| ნიმუშის მასა, (გ) | P (ატმ) | t (°C) | სტატიკური/ დინამიური დრო | ნაკადის სიჩქარე | გამოსავალი, % |
|----------------------|------------|-----------|-----------------------------|--------------------|------------------|
| 40 | 110 | 50 | 30წთ/2სთ | 2მლ/წთ | 8,2% |
| 30 | 200 | 60 | 30წთ/2სთ | 2მლ/წთ | 9,4% |
| 30 | 250 | 60 | 30წთ/2სთ | 2მლ/წთ | 11% |
| 40 | 250 | 70 | 15წთ/2სთ | 2მლ/წთ | 10,3% |
| 30 | 250 | 70 | 15წთ/2სთ | 2მლ/წთ | 11,5% |

როგორც ცხრილი 1-დან ჩანს, ბროწეულის კურკის ზეთის სუპერკრიტიკული ექსტრაქციის ოპტიმალური პირობებია: ნიმუშის მასა – 30გ, ტემპერატურა – 60°C, სტატიკური ექსტრაქციის დრო – 30 სთ, დინამიური – 2 სთ, ნაკადის სიჩქარე – 2 მლ/წთ.

ზეთის ფიზიკურ-ქიმიური მახასიათებლების ანალიზის შედეგები მოტანილია ცხრილში 2.

ცხრილი 2. ბროწეულის კურკის ზეთის ფიზიკურ-ქიმიური მახასიათებლები

| ნიმუში № | n_d^{20} | d_4^{20} | pH | იოდის რიცხვი | მჟავური რიცხვი | შესაპვნის რიცხვი |
|----------|------------|------------|-----|-----------------|-------------------|---------------------|
| 1 | 1,3641 | 0,923 | 5,8 | 181,89 | 2 | 214,6 |

ექსპერიმენტული ნაწილი

საკონტროლო ექსტრაქცია: 30 გრამი ბროწეულის დაფქვილი კურკა თავსდება სოქსლეთის აპარატში, ემატება 250 მლ ჰექსანი და ხდება მისი ექსტრაქცია. ექსტრაქციის ხანგრძლივობა 9 სთ-ია. მიღებულ იქნა 3,75გ ზეთი (გამოსავალი 12,5 %).

სუპერკრიტიკული ექსტრაქცია: 30 გ გამშრალი ბროწეულის კურკა იფქვება საფქვავეში 15 წამიანი ინტერვალებით ნედლეულის გადახურების თავიდან აცილების მიზნით. დაფქვილი კურკა თავსდება სფე-ს დანადგარის ავტოკლავში. ბალონიდან გამოსული CO₂ ცივდება მაცივარში ნახევარი საათის განმავლობაში, რის შემდეგაც ირთება მაღალი წნევის ტუმბო. სასურველი წნევის (150 ატმ) დამყარების შემდეგ იხსნება რეაქტორში შემავალი სარქველი. რეაქტორში მოცემული წნევა შენარჩუნებულია ექსტრაქციის სტატიკური დროის გასვლამდე, რის შემდეგაც ხდება წნევის რეგულირება დინამიური ექსტრაქციის პროცესისთვის (150-250 ატმ), იხსნება გამომავალი სარქველი და ხდება ზეთის შეგროვება მიმღებში (გამოსავალი – 11%).

გარდატეხის მაჩვენებელი: ცენტრიფუგირებამდე – 1,331, ხოლო ცენტრიფუგირების შემდეგ 1,364.

მჟავური რიცხვი: 0,3გ ზეთს დაემატა 15 მლ C₂H₅OH. გაითიტრა 0,1N კალიუმის ტუტის სპირტხსნარით. გატიტრრაზე დაიხარჯა 0,2მლ ტუტე, ხოლო საკონტროლო ნიმუშზე – 0,1მლ.

$$\text{მჟავური რიცხვი} = (0,2 - 0,1) \cdot 0,11 \cdot 56,1 / 0,3 = 2$$

შესაპვნის რიცხვი: 2გრ ბროწეულის ზეთს დაემატა 68,1 მლ 0,11N KOH/C₂H₅OH. იდულა 1 სთ და გაითიტრა 0,5N HCl-ით. დაიხარჯა – 2,7მლ, ხოლო საკონტროლო ნიმუშის გატიტრრაზე – 18 მლ. 0,5 N HCl.

$$\text{შესაპვნის რიცხვი} = 56,1 \cdot 0,5 \cdot (18 - 2,7) / 2 = 214,6.$$

იოდის რიცხვის დადგენა კაუფმანის მეთოდით: 0,3გ ზეთს დაემატა 20მლ ქლოროფორმი, 15-20წთ მოთავსდა მაგნიტურ სარეველაზე, შემდეგ გაცივდა 5°C -მდე და დაემატა 13 მლ 0,1N ბრომიანი ხსნარი (ყინულოვანი ძმარმჟავა) ხსნარის გაყვითლებამდე. ნიმუში დაიდგა სიბნელეში

5 წთ, დაემატა 10 მლ 10% KI ხსნარი და სახამებელი. გაიტიტრა 0,1N Na₂S₂O₃-ით. გაიტიტრაზე დაიხარჯა – 3,5 მლ, საკონტროლო ნიმუშზე – 25 მლ.
 იოდის რიცხვი = $(25-3,5) \cdot 0,2 \cdot 12,69 / 0,3 = 181,89$.

ლიტერატურა – ЛИТЕРАТУРА – REFERENCES

1. *Hajar Abbasi, Karamatollah Rezaei and Ladan Rashidi*. Extraction of Essential Oils from the Seeds of Pomegranate Using Organic Solvents and Supercritical CO₂. Journal of the American oil chemists' society. Volume 85 number 1/January 2008 p. 83-89
2. *Hajar Abbasi, Karamatollah Rezaei, Zahra Emamdjomeh, Seyyed M. Ebrahimzadeh Mousavi*. Effect of various extraction conditions on the phenolic contents of pomegranate seed oil. european Journal of lipid science and technology. volume 110 Issue 7. p.668
3. *Guangmin Liu, Xiang Xu*. Supercritical CO₂ extraction optimization of pomegranate seed oil using response surface methodology. Qinfeng Hao and Janxiang Gao. Food science and technology. Volume 42. Issue 9, november 2009. p.1491-1495.

EXTRACTION OF POMEGRANATE SEED OIL BY USING SUPERCRITICAL CO₂

Mzia Vacheishvili, Rusudan Devdariani, Mzia Tsitsagi
 Petre Melikishvili Institute of Physical and Organic Chemistry

S U M M A R Y

Pomegranate seeds are byproducts of the pomegranate juice industry. Because of the presense of large amounts of certain pharmaceutical and nutraceutical components in the seeds, a proper extraction method to obtain these components is highly demanded in the food industry. In this study, pomegranate seed oil of the “Vardisperi gulosha” variety were extracted using two extraction methods: soxlet and supercritical fluid extraction (SFF) using CO₂. Optimal conditions (pressure, temperature, extraction time and flow rate) have been established.

ЭКСТРАКЦИЯ МАСЛА ГРАНАТОВЫХ КОСТОЧЕК С ИСПОЛЬЗОВАНИЕМ СУПЕРКРИТИЧЕСКОГО СО₂

М.Л.Вачеишвили, Р.Р.Девдариани, М.В.Цицаги
 Институт физической и органической химии им. П.Г. Меликишвили

Р Е З Ю М Е

Гранатовые косточки являются вторичным продуктом производства гранатового сока. В связи с большим содержанием определенных фармацевтических и пищевых компонентов, удобный метод экстракции высоко востребован в пищевой промышленности. В этом исследовании масло гранатовых косточек сорта «Вардиспери гулоша» извлекается с использованием двух методов экстракции: соклет и экстракция суперкритическими флюидами (СФЭ) с использованием СО₂. Были установлены оптимальные условия (давление, температура, время экстракции и скорость потока).

საყოფაცხოვრებო-სამეურნეო ჩამდინარე წყლის გაფხენდა უპროსომის ამთოდით

ლეილა გვერდწითელი, ნინო რუხაძე, ნოდარ ჩაჩუა, თამარ პაპიაშვილი
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

სამრეწველო და საყოფაცხოვრებო-სამეურნეო ჩამდინარე წყლები შეიცავენ ხსნად და უხსნად ნივთიერებათა შეწონილ ნაწილაკებს. ისინი წყალთან წარმოქმნიან დისპერსიულ სისტემას. წყლის ხარისხზე, მის ქიმიურ-ბიოლოგიურ მდგომარეობაზე, ჰიდრობიონტებზე განსაკუთრებით ზეგავლენას ახდენს ქლორმემცველი, ორგანული, ბიოლოგიურად მდგრადი ნივთიერებები (ზედაპირულად აქტიური ნივთიერებები (ზ.ა.ნ.), პესტიციდები, მათი დაშლის პროდუქტები და სხვ.). უნარჩენო ტექნოლოგიის განვითარების ერთ-ერთი ძირითადი მიმართულებაა ჩამდინარე წყლების გაფხენდის არსებული და პერსპექტიული მეთოდების ბაზაზე წყალბრუნვის ციკლების შემუშავება [1].

ჩატარდა ქიმიურად დამუშავების უბნის, მექანიკური სამრეცხაოს, ეკიპირებისა და ვაგონების გარედან რეცხვის სადგურის ეკოლოგიური ექსპერტიზა, რომელიც მდებარეობს ქ.თბილისის სავაგონო უბნის ტერიტორიაზე [2]. საწარმოს წყალმომარაგების წყაროს წარმოადგენს ქალაქის წყალსადენი. მექანიკური სამრეცხაო აღჭურვილია ოთხი სარეცხი და ოთხი საშრობ-საუთოვებელი მანქანით. ამ უბანზე მიმდინარეობს თეთრეულის, ტანსაცმლის, ფარდაგების, სხვადასხვა ნივთის რეცხვა, შრობა, შეკეთება, დაუთობა და დაკომპლექტება.

ქიმიური დამუშავების უბანი აღჭურვილია ქიმწმენდი აპარატით, სადაც ქიმიური წმენდა უტარდება თეთრეულს, ტანსაცმელს, ზამთრისა და ზაფხულის საბნებს, ხალიჩებს, ფარდაგებს და სხვადასხვა ნივთს. ეკიპირების საამქროში მიმდინარეობს ვაგონების შიგნიდან რეცხვა სარეცხი საშუალებების გარეშე და ჩაედინება კანალიზაციაში. ვაგონების გარედან რეცხვის სადგურში დამონტაჟებულია მექანიკური რეცხვის ორი უბანი. აქედან I უბანი გათვალისწინებულია ვაგონების გასარეცხად სარეცხი საშუალებებით, ხოლო II უბანში კი ვაგონები ირეცხება სუფთა წყლით. ორივე უბანზე რეცხვა ხდება ჯაგარისებით. თითოეულ უბანზე არის წყლის ორ-ორი 20-20 ტონიანი საცავი. აქვე დამონტაჟებულია მარტივი ტიპის ჰორიზონტალური სალექარი, რომელიც გათვალისწინებულია ნარეცხი წყლის მხოლოდ შეწონილი ნაწილაკებისაგან გასაწმენდად, შემდეგ კი ჩაედინება კანალიზაციაში.

მექანიკურ სამრეცხაოში და ქიმიური დამუშავების საწარმოში იყენებენ სხვადასხვა ქიმიური რეაგენტებს მომსახურე პერსონალის ტანსაცმლის, ფარდაგების, თეთრეულისა და ტექნიკური ქსოვილების გასარეცხად და დასამუშავებლად.

ქიმიური რეაგენტების მატერიალური ბალანსი მოცემულია 1-ლ, მე-2 და მე-3 ცხრილში. სავაგონო უბანში მიიღება 221800 მ³/წ ჩამდინარე წყალი. აქედან მექანიკური სამრეცხაოდან და ქიმიური დამუშავების საწარმოდან მიღებული ჩამდინარე წყლის რაოდენობაა 5136,7 მ³/წ, ხოლო ვაგონების რეცხვის სადგურში წარმოქმნილი ჩამდინარე წყლის რაოდენობა 216663,3 მ³/წ. ჩამდინარე წყალი შეიცავს 67,6 ტ/წ ზ.ა.ნ., 0,105 ტ/წ – შეწონილ ნაწილაკებს და 90,490 ტ/წ – ორგანულ ნივთიერებებს (ცხრილი 4, 5).

ცხრილი 1. მექანიკური სამრეცხაოში გამოყენებული სარეცხი საშუალებების მატერიალური ბალანსი

| გამრეცხი საშუალება | 1 ტ. თეთრეულის გასარეცხი საშუალებების რაოდენობა, კგ | 1152 ტ. თეთრეულის გასარეცხი საშუალებების რაოდენობა, კგ |
|-------------------------------------|---|--|
| სარეცხი ფხვნილი | 42 | 48384 |
| კალციირებული სოდა | 15 | 17280 |
| 30%-იანი წყალბადის ზეჟანგი | 4 ლ | 4608 |
| ან ნატრიუმის ჰიპოქლორიდი სახამებელი | 18 | 2070 |

ცხრილი 2. ქიმიური დაბუნებისას გამოყენებული საშუალებების მატერიალური ბალანსი

| გამრეცხი საშუალება | 1 კგ. გასაწმენდი ნივთისათვის საჭირო სარეცხი საშუალებების რაოდენობა, კგ | 29160 კგ. ნივთის გასაწმენდად საჭირო სარეცხი საშუალებების რაოდენობა, კგ |
|----------------------------------|--|--|
| ტრიქლორეთილენი ან პერქლორეთილენი | 0,1 | 9216 |
| წყალი | 0,05 მ ³ | 4608 მ ³ |
| ორთქლი | 1,5 | 138240 |

ცხრილი 3. ვაგონების გარედან რეცხვის სადგურში გამოყენებული სარეცხი საშუალებების მატერიალური ბალანსი

| გამრეცხი საშუალება | 1 ვაგონის გასარეცხად საჭირო სარეცხი საშუალებების რაოდენობა, კგ | 4800 ვაგონი/წელ. გასარეცხად საჭირო სარეცხი საშუალებების რაოდენობა, კგ |
|--------------------|--|---|
| სარეცხი ფხვნილი | 4 | 19200 |
| სულფანოლ 65-3 | 2,5 | 12000 |
| აზოლატი | 4 | 19200 |
| მჟაუნმჟავა | 4 | 19200 |
| პროგრესი „გო“ | 5 | 24000 |
| წყალი ცივი | 1 მ ³ | 4800 მ ³ |
| წყალი ცხელი | 0,1 მ ³ | 480 მ ³ |

ცხრილი 4. მექანიკური სამრეცხაოდან და ქიმიური დაბუნების უბნიდან მიღებული ჩამდინარე წყლის დახასიათება

| ჩამდინარე წყლის წარმომქმნელი წყარო | ჩამდინარე წყლის შედგენილობის და თვისების მაჩვენებლები | გამაჭუჭყიანებელი ნივთიერების რაოდენობა | | გამაჭუჭყიანებელი ნივთიერების კონცენტრაცია გრ/ლ | მავნე ნივთიერების ზ.დ.კ. მგ/ლ [3] |
|--|---|--|---------|--|-----------------------------------|
| | | გრ/სთ | ტ/წ | | |
| ქიმიური დაბუნების უბანი pH= 6,7-7,1 | ზ.ან. | 10503,47 | 48,4 | 9,42 | 0,5 |
| | ორგანული ნაერთი | 3449,22 | 15,89 | 1,78 | 0,5 |
| | შეწ. ნივთიერება | 4,78 | 0,02203 | 0,0043 | 0,75 |


ცხრილი 5. ვაგონგამრეცხი საამქროდან მიღებული ჩამდინარე წყლის დახასიათება

| ჩამდინარე წყლის წარმომქმნელი წყარო | ჩამდინარე წყლის შედგენილობის და თვისების მაჩვენებლები | გამაჭუჭყიანებელი ნივთიერების რაოდენობა, | | გამაჭუჭყიანებელი ნივთიერების კონცენტრაცია, გრ/ლ | მავნე ნივთიერების ზ.დ.კ. მგ/ლ [3] |
|--------------------------------------|---|---|---------|---|-----------------------------------|
| | | გრ/სთ | ტ/წ | | |
| ვაგონგამრეცხი სადგური pH= 6,8-7,1 | ზ.ან. | 4166,67 | 19,2 | 0,0886 | 0,5 |
| | შეწ. ნივთიერება | 17879 | 0,08293 | 0,00038 | 0,5 |
| | ორგანული ნაერთი | 16189,24 | 74,600 | 0,3441 | 0,75 |

განსაზღვრული იქნა ჩამდინარე წყალში შეწონილი ნივთიერებების ზღვრულად ჩასაშვები სიდიდე, რომელიც ტოლია 1679,1 მგ/ლ, შეწონილი ნაწილაკების მიხედვით გაწმენდის ხარისხი, რომელიც შეადგენს ~99%. ასევე განსაზღვრულია ჩამდინარე წყლებით გამოწვეული გარემოზე მიღებული ეკონომიური ზარალი, რომელიც შეადგენს 131200 ლ/წ [4].

დამუშავებული და შედგენილი იქნა ჩამდინარე წყლის სრული გაწმენდის ტექნოლოგიური პროცესის სქემა უკუოსმოსის მეთოდის გამოყენებით (ნახ. 1):


ჩამდინარე წყალი შეწონილი ნაწილაკებისაგან გასაწმენდად გაივლის საცერს (1). არჩეული იქნა დოლური ტიპის საცერი, რომლის ნახვრეტების ზომაა 0,5-1 მმ-მდე. დოლის ბრუნვით ჩამდინარე წყალი იწმინდება შეწონილი ნაწილაკებისაგან, რომელიც ილექება დოლის შიგა ან გარე მხარეს, იმის მიხედვით ჩამდინარე წყალი დოლს შიგა თუ გარე მხარიდან მიეწოდება.



ნახ. 1. ჩამდინარე წყლის სრული გაწმენდის ტექნოლოგიური პროცესის სქემა: 1. საცერი; 2. შემკრები; 3. ჩამკეტი; 4. ტუმბო; 5. დოზატორი; 6. კოლექტორი; 7. უკუოსმოსის აპარატის უჯრედი; 8 – ჩამკეტი; 9. შემკრები

შეწონილი ნაწილაკების შეკავებული მასის მოცილება დოლისაგან ხდება მოცილება დოლისაგან ხდება მშრალად – მოძრავი ჯაგრისით, ან სველი მეთოდით – წყლით. შემდეგ ჩამდინარე წყალი შედის (2) შემკრებში და (4) ტუმბოს საშუალებით გადადის (5) დოზატორში. აქედან გადადის (6) მაღალი წნევის კოლექტორში, სადაც წნევა შენარჩუნებულია 70-80 ატმოსფერომდე. წნევის გადიდებით იწყებს მუშაობას საკონტაქტო მანომეტრი და ჰიდროაკუმულატორი, რომელიც უზრუნველყოფს (4) ტუმბოს ნორმალურ მუშაობას. (6) კოლექტორიდან ჩამდინარე წყალი შედის უკუოსმოსის აპარატის (7) უჯრედში, სადაც დამაგრებულია ბრტყელი აცეტილცელულოზის მემბრანა. მემბრანის ზედაპირზე არსებული მაღალი წნევა უზრუნველყოფს ჩამდინარე წყლის გაწმენდას, მემბრანის გავლით ზ.ა.ნ და ორგანული ნივთიერებები შეკავდებიან მემბრანის ზედაპირზე, ხოლო ჩამდინარე წყალი (8) დროსელური ვენტის გავლით შედის (1) შემკრებში და კვლავ გაივლის უკუოსმოსით გაწმენდის ციკლს. საბოლოოდ გაწმენდილი წყალი გროვდება (9) შემკრებში და კვლავ გამოიყენება წარმოებაში.

უკუოსმოსით ხდება 0,0001-0,001 მკმ ზომის ნაწილაკების შეკავება. მრავალკამერიან ფილტრ-წნეხის უკუოსმოსის აპარატში მემბრანები განლაგებულია 0,5-5 მმ მანძილზე ერთმანეთისაგან დაცილებული ბრტყელი, ფორიანი, დრენაჟული ფირფიტების ორივე მხარეზე. ასეთ აპარატებში გამფილტრავი ელემენტები ერთმანეთთან დაკავშირებულია ორ პანელს შორის ჭანჭიკებით. ჩამდინარე წყალი თანმიმდევრობით გაივლის ყველა ელემენტს (მემბრანას), კონცენტრირდება და გამოდის აპარატიდან. მემბრანაში გატარებული ფილტრავი (გაწმენდილი წყალი) გადის დრენაჟული ფენიდან. აცეტილცელულოზის მემბრანებს გააჩნიათ ანიზოტროპული სტრუქტურა. 0,25 მკმ-მდე სისქის მემბრანის ზედა აქტიურ ფენაზე წარმოებს დაყოფა, ხოლო ქვედა მსხვილმარცვლიანი ფენა (100-200 მკმ) განაპირობებს მემბრანის მექანიკურ სიმტკიცეს. აცეტილცელულოზის მემბრანები მდგრადნი არიან 1-8 მპა წნევაზე, 0-30°C ტემპერატურაზე, pH=3-8. მემბრანების ჯამური ფართი იცვლება 60-300 მ²/მ³ [1, 5]. დადგენილია მემბრანის საშუალო ფართი, რომელიც შეადგენს 85 მ², წარმადობა – 0,4-0,5 მ³/სთ, გაფილტვრის დროს – 8 სთ, გაწმენდის ხარისხი კი 98%-ია.



ნახ. 2. ფილტრ-წნეხის ტიპის უკუოსმოსის აპარატი. 1. ფორიანი ფირფიტები; 2. მემბრანები

ჩვენს მიერ შემოთავაზებული უკუოსმოსის გაწმენდის მეთოდით სავსებით შესაძლებელია საწარმოში შეიქმნას წყალბრუნვითი სისტემა უნარჩენო ტექნოლოგიის დანერგვით. სუფთა წყალზე მოთხოვნილება შემცირდება, რადგან მოხდება მრავალჯერადი გამოყენება და მნიშვნელოვნად შემცირდება ასევე კაპიტალური და ექსპლოატაციური დანახარჯები.

ლიტერატურა-ЛИТЕРАТУРА-REFERENCES

1. Родионов А.И., Клушин В.Н., Торочешников Н.С. Техника защиты окружающей среды. Москва, «Химия», 1989, с. 183-196, 272-278, 512 с.
2. ГОСТ 17.0.04-90. Экологический паспорт промышленного предприятия. Основные положения, 65 с.
3. წყლის ტექნიკური რეგლამენტი, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 17.12.2007 წლის № 349/ნ ბრძანება, 124 გვ.
4. ნ. ჩხუბიანიშვილი, ლ. გვერდწითელი. გარემოს დაცვა სამრეწველო გაჭურჭვიანებისაგან. მეთოდური მითითება. თბილისი, სტუ. 2006, 56 გვ.
5. Родионов А.И., Клушин В.Н., Систер В.Г. Технологические процессы экологической безопасностью. Калуга, Изд. Н. Бочкаровой. 2000, 368 с.

METHOD OF REVERSE OSMOSE OF REFINEMENT OF ECONOMICAL SEWAGE

Leila Gverdtsiteli, Nino Rukhadze, Nodar Chachua, Tamar Papiashvili
Georgian Technical University

SUMMARY

The components of sewage of dry-cleaning, leundry and mechanical washing shop the carriage of district of city Tbilisi were investigated. The scheme of technological process of refinement of sewage was elaborated by means of method of reverse osmose.

ОЧИСТКИ ХОЗЯЙСТВЕННО-БЫТОВЫХ СТОЧНЫХ ВОД МЕТОДОМ ОБРАТНОГО ОСМОСА

Л.В.Гвердцители, Н.Р.Рухадзе, Н.Л.Чачуа, Т.В.Папиашвили
Грузинский технический университет

РЕЗЮМЕ

Изучено содержание сточных вод отделения химической обработки, механической промывки и прачечной вагонного участка г. Тбилиси. Отработана схема очистки технологического процесса сточных вод с применением метода обратного осмоса.

ბენზინგასამართი საღებურიდან მავნე ნივთიერებათა გაფრქვევის ანალიზი


ლეილა გვერდწითელი, დიმიტრი ერისთავი, ნინო მდინარაძე

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

განსაზღვრულია ბენზინგასამართი საღებურის დამაბინძურებელი წყაროდან ნავთობური ნახშირწყალბადების გაფრქვევათა ემისიები და მიწისპირა მაქსიმალური კონცენტრაციები.

ქ. თბილისში, ისევე როგორც საქართველოს სხვა მსხვილ ინდუსტრიულ ცენტრებში სხვადასხვა პერიოდში ფუნქციონირებდა ატმოსფეროს დაბინძურებაზე დაკვირვების ქსელის საგუშაგოები, სადაც წარმოებდა მავნე ნივთიერებათა კონცენტრაციების ყოველდღიური სამჯერადი გაზომვა. უკანასკნელ წლებში მნიშვნელოვნად შეიზღუდა სრულყოფილი დაკვირვებების წარმოების შესაძლებლობა. ამასთან აღსანიშნავია ისიც, რომ ბოლო პერიოდში შემცირდა სამრეწველო ობიექტების ზეგავლენა გარემოს ობიექტებზე და არსებული მდგომარეობის ამსახველ მახასიათებელთა მნიშვნელობებიც. მიუხედავად ამისა ტრანსპორტის, ბენზინგასამართი საღებურებისა და ნავთობსაღებურების რაოდენობის მკვეთრი ზრდა, განსაკუთრებით დედაქალაქში ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების პრობლემას სულ უფრო და უფრო აქტუალურს ხდის [1].

ქ. თბილისში ფუნქციონირებს 150 ბენზინგასამართი საღებური. აქედან ეკოჯორჯია – 15; რომპეტროლი – 15; ვისოლი – 30-მდე, ლუკოილი – 30 ბენზინგასამართი საღებურები („სოკარი“, ოილ-77“, „მაგნატი“, „ვერაზია“ და სხვა) – 60 [2].



სურათი 1. ქ. თბილისში შ.პ.ს. ლუკოილის ბენზინგასამართი საღებურის რუკა

ბენზინგასამართი საღებურის ფუნქციონირებისას შესაძლოა მოხდეს მავნე ზემოქმედება ადამიანის ჯანმრთელობასა და გარემოს ცალკეულ კომპონენტებზე: ატმოსფერულ ჰაერზე, წყლის ობიექტებზე, ნიადაგზე და კლიმატზე.

ცნობილია, რომ 2008 წელს საქართველოში აზერბაიჯანიდან, თურქმენეთიდან და ევროპიდან განხორციელდა საწვავის იმპორტი 406413677 ტ. ოდენობით, ხოლო 2009 წელს საწვავის იმპორტმა ჩვენს ქვეყანაში მიაღწია 747811351 ტ-ს [3].

ბენზინგასამართი საღებურების მნიშვნელოვანი რაოდენობა გავლენას ახდენს თბილისის ატმოსფერული ჰაერის დაბინძურებაზე და ფონურ კონცენტრაციაზე. ბენზინგასამართი საღებურის

ფუნქციონირებისას ძირითადად განსახილველია ატმოსფერული ჰაერის მავნე ნივთიერებებით დაბინძურება, ამიტომ გამოკვლეულ იქნა ერთ-ერთი ბენზინგასამართი სადგურის გარემოზე ზემოქმედება [4].

განსახილველი ბენზინგასამართი სადგურის საქმიანობის მიზანია მაღალი ხარისხის ბენზინის, დიზელის საწვავის მიღება, შენახვა და მისი რეალიზაცია. დაგეგმილია დღეში 9000 ლ ავტობენზინის რეალიზაცია, რაც წელიწადში შეადგენს 3000 მ³-ს (2200 ტ/წ). ასევე წელიწადში დაგეგმილია 370 მ³ (290 ტ) მოცულობის დიზელის საწვავის რეალიზაცია.

საწარმო საქმიანობისათვის საჭირო მოწყობილობა-დანადგარების დასაყენებლად იყენებს 4270 მ² მიწის ნაკვეთს, საიდანაც 3270 მ² ფართი რეზერვუარების პარკის ჩათვლით არის ასფალტირებული.

ბენზინგასამართი სადგურის მოედანზე გათვალისწინებულია ოთხი ნავთობპროდუქტების გასაცემი სვეტი, რომლებსაც ესაზღვრება საოპერატორო, სატრანსფორმატორო ქვესადგური, დიზელ-გენერატორი, სახანძრო რეზერვუარები, ნავთობპროდუქტების მიწისქვეშა რეზერვუარის პარკი და გამწმენდი ნაკვობა.

საწარმოს ნორმალური ფუნქციონირებისათვის გათვალისწინებულია ხუთი მიწისქვეშა რეზერვუარი, რომელთაგან ოთხი რეზერვუარი განკუთვნილია ავტობენზინისათვის, ხოლო ერთი რეზერვუარი კი დიზელის საწვავისათვის. რეზერვუარის „სასუნთქი სარქველების“ სიმაღლე $h=6.0$ მ და დიამეტრი 0.05 მ. რეზერვუარები დაფარულია ანტიკოროზიული ნივთიერებებით. ბენზინის და დიზელის საწვავის გასაცემი თითოეული სვეტი აღჭურვილია 8 პისტოლეტით, ოთხი ტუმბოთი.

ბენზინგასამართი სადგურის საქმიანობისას ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებები გაიფრქვევა:

- რეზერვუარებიდან, ნავთობპროდუქტების მიღებისა და შენახვის დროს;
- ავტომანქანების ბაკებიდან, მათში ნავთობპროდუქტების ჩასხმის დროს;
- ნავთობპროდუქტების დაღვრისას;
- გამწმენდი მოწყობილობებიდან;
- დიზელ-გენერატორიდან.

თითოეული მოწყობილობიდან გამოიყოფა შემდეგი ძირითადი დამაბინძურებელი ნივთიერებები: ნაჯერი და უჯერი ნახშირწყალბადები, ასევე არომატული ნივთიერებები - ბენზოლი, ტოლუოლი, ეთილბენზოლი და ქსილოლი, რომელთა ზღვრულად დასაშვები კონცენტრაციები და გაფრქვევის სიმძლავრეები მოცემულია ცხრილში 1 [5, 6].

განსაზღვრულია ნახშირწყალბადების მაქსიმალური მიწისპირა კონცენტრაციები და ფარდობითი კონცენტრაციები ზღკ-ს მიმართ სამუშაო ზონაში, სანიტარულ-დამცავი ზონის საზღვარზე (50მ) და მოსახლეობაში. მათი მნიშვნელობები მოცემულია ცხრილებში 2 და 3 და ნახაზზე 1 [5, 6].



ქ. თბილისში გაბატონებული ჩრდილო-დასავლეთის ქარის მიმართულებით სამუშაო ზონაში 10, 20, 30, 40 და სანიტარულ-დამცავი ზონის საზღვარზე 50მ-ზე განსაზღვრულია მიწისპირა მაქსიმალური კონცენტრაციები. 10მ-ზე მაქსიმალური კონცენტრაცია შეადგენს 0.8ზღკ-ს; 30მ-ზე – 0.6ზღკ-ს; 50მ-ზე – 0.5ზღკ-ს; 100მ-ზე 0.4ზღკ-ს; 200მ-ზე – 0.2ზღკ (მოსახლეობაში).

ცხრილი 1. მავნე ნივთიერებათა სახეობები და გაფრქვევის მნიშვნელობები

| მავნე ნივთიერების დასახელება | კოდი | ზღვრულად დასაშვები კონცენტრაცია (ზ.დ.კ), მგ/მ ³ | | გაფრქვევის სიმძლავრე | | სამშრომლის კლასი |
|--|------|--|--------------------|----------------------|---------|------------------|
| | | მაქსიმალური ერთჯერადი | საშუალო დღე-ღამური | M, გრ/წმ | G, ტ/წლ | |
| ნახშირწყალბადები (ჯამურად) | 311 | 5 | 1.5 | 0.282227 | 3.748 | 4 |
| ნაჯერი ნახშირწყალბადები | 311 | 25 | 25 | 0.193603 | 3.302 | 4 |
| უჯერი ნახშირწყალბადები | 526 | 3 | 3 | 0.005222 | 0.089 | 3 |
| ბენზოლი C ₆ H ₆ | 602 | 0.1 | 0.1 | 0.004805 | 0.082 | 2 |
| ტოლუოლი C ₇ H ₈ | 621 | 0.6 | 0.6 | 0.004533 | 0.081 | 3 |
| ეთილბენზოლი | 627 | 0.02 | 0.02 | 0.000125 | 0.002 | 3 |
| ქსილოლი C ₈ H ₁₀ | 616 | 0.2 | 0.2 | 0.000606 | 0.011 | 3 |

ცხრილი 2. ნახშირწყალბადების (ჯამურად) გაფრქვევის პარამეტრები

| წყაროს კოდი | | | გაფრქვევის სიმაღლე (მ) | ღიაშუტრი, (მ) | ჰერ-აირნარევის პარამეტრები | | | კოორდინატები ძირითად სისტემაში | | | | | |
|-------------|-------------|----------|------------------------|---------------|---------------------------------|-----------------|--------------|-------------------------------------|---------------------------------|--------|--------|--------|--------|
| N მონდნის | N საწყარმოს | N წყაროს | | | მოცულო-ბა, (მ ³ /წმ) | სიჩქარე, (მ/წმ) | ტემპ., (გრC) | წერტილოვანის; ხაზოვანის დასაწყისის; | | | | | |
| N მ | N ს | N წ | H | D | V1 | Wo | T | ფართობრივის L1 გვერდის შუა, (მ) | ფართობრივის L2 გვერდის შუა, (მ) | X1-ძირ | Y1-ძირ | X2-ძირ | Y2-ძირ |
| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | | |
| 0 | 0 | +1 | 6.0 | 0.05 | 0.00333 | 1.70 | 26 | 0 | 0 | | | | |
| 0 | 0 | +2 | 6.0 | 0.05 | 0.00333 | 1.70 | 26 | 0 | -3 | | | | |
| 0 | 0 | +3 | 6.0 | 0.05 | 0.00333 | 1.70 | 26 | -10 | 0 | | | | |
| 0 | 0 | +4 | 6.0 | 0.05 | 0.00333 | 1.70 | 26 | -10 | -3 | | | | |
| 0 | 0 | +5 | 6.0 | 0.05 | 0.00333 | 1.70 | 26 | -10 | -6 | | | | |
| 0 | 0 | +6 | 0.5 | 2.00 | 0.94248 | 0.30 | 26 | 30 | 28 | | | | |
| 0 | 0 | +7 | 6.0 | 0.20 | 0.46181 | 14.70 | 90 | -20 | 2 | | | | |
| 0 | 0 | +8 | 2.5 | 0.10 | 0.00333 | 0.42 | 26 | -2 | 30 | | | | |
| 0 | 0 | +9 | 2.5 | 0.10 | 0.00333 | 0.42 | 26 | -2 | 40 | | | | |



ნახაზი 1. ნახშირწყალბადების (ჯამურად) ზღვ-ს მიმართ ფარდობითი კონცენტრაციების მნიშვნელობების გრაფიკულ ველი.

150 ბენზინგასამართი სადგურიდან გაფრქვევები და მაქსიმალური მიწისპირა კონცენტრაციები მნიშვნელოვნად მაღალია, რაც ზეგავლენას ახდენს ქ. თბილისის გარემოს ობიექტების დაბინძურების სპექტრზე და ფონურ კონცენტრაციებზე. ამიტომ აუცილებელია ბენზინგასამართი სადგურის რეზერვუარების სასუნთქ მილებზე დამონტაჟდეს ნახშირწყალბადების შემაკავებელი ფილტრები, რომელთა გაწმენდის ხარისხი შეადგენს 98.2%-ს. ფილტრის საპასპორტო მონაცემებია: დასახელება - „ფბ-50“, ქარხნული ნომერი - №662, ს.ს. „ფილტრი“, ჰიგიენური სერთიფიკატი №77.01.30. 364. პ. 09485.04.2

ბენზინგასამართი სადგურების უმრავლესობაზე დაყენებულია ფილტრები. მათ აქვთ მუშაობის განსაზღვრული ხანგრძლივობა, რომლის შეცვლაზე და ახალი ფილტრის დაყენებაზეც უნდა ტარდებოდეს სისტემატიური კონტროლი.

ფილტრის ფუნქციონირებისას ცალკეული დამაბინძურებელი წყაროდან გაფრქვევები მცირდება, მიწისპირა მაქსიმალური კონცენტრაციები აღწევენ ზღვრულად დასაშვებ კონცენტრაციებამდე, რის

შედეგადაც მნიშვნელოვნად მცირდება ნავთობპროდუქტების ზეგავლენა გარემოს ობიექტებზე და მოსახლეობაზე.

ცხრილი 3. ნახშირწყალბადების (ჯამურად) მაქსიმალური კონცენტრაციების მნიშვნელობები

| სიგანე | ქარის სახიფათო სიჩქარე | გამოფრქვევის სიმძლავრე (კ/წმ) | ქიმიკატების კონცენტრაცია (მგ/მ ³) | მიწისპირა მაქსიმალური კონცენტრაცია რელიეფის გათვალისწინებით, ფარდობითი ზღვა | ინჰალაციური დოზა (მგ/დღე) | ფარდობა კონცენტრაციისა კვეთში - $q_i = M \cdot 1000 / V_1$ მიწისპირთან | წყაროს კოდი | | |
|--------|------------------------|-------------------------------|---|---|---------------------------|--|-------------|------------|----------|
| | | | | | | | N მოედნის | N საწყაროს | N წყაროს |
| L1 | Un | M | L1 | Cm/ზღვა | Xn | qi/Cm | Nმდ | Nს | Nწყ |
| 13 | 14 | 15 | 16 | 17 | 18 | 19 | 1 | 2 | 3 |
| | 0.5 | 0.0432 | | 0.023773876 | 34.2 | 999.99 | 0 | 0 | 1 |
| | 0.5 | 0.0002668 | | 0.00016826 | 34.2 | 999.99 | 0 | 0 | 2 |
| | 0.5 | 0.0002668 | | 0.00016826 | 34.2 | 999.99 | 0 | 0 | 3 |
| | 0.5 | 0.0002668 | | 0.00016826 | 34.2 | 999.99 | 0 | 0 | 4 |
| | 0.5 | 0.0001839 | | 0.000101204 | 34.2 | 999.99 | 0 | 0 | 5 |
| | 0.5 | 0.0022044 | | 0.016318165 | 11.4 | 148.53 | 0 | 0 | 6 |
| | 1.1 | 0.073333 | | 0.019187368 | 56.4 | 8276.00 | 0 | 0 | 7 |
| | 0.5 | 0.054414 | | 0.230933249 | 14.3 | 999.99 | 0 | 0 | 8 |
| | 0.5 | 0.054414 | | 0.23093349 | 14.3 | 999.99 | 0 | 0 | 9 |

ლიტერატურა-REFERENCES-ЛИТЕРАТУРА

1. ატმოსფეროს დაბინძურების კონტროლის სახელმძღვანელო, PD 52.04.186-89. 1991, 215 გვ.
2. www.tbilisis.gov.ge – ბენზინგასამართი სადგურები.
3. <http://24saati.ge/index.php/category/business/2009-12-31/2490html> - ნავთობპროდუქტების იმპორტი საქართველოში.
4. წარმოების სხვადასხვა დარგების მიერ ატმოსფერულ ჰაერში დამაბინძურებელ ნივთიერებათა გამოყოფის ზვედრითი მაჩვენებლების მეთოდიკების კრებული. საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო. თბილისი, 1998, 245 გვ.
5. საცავთაგან ატმოსფეროში მავნე ნივთიერებების გაფრქვევათა განსაზღვრის მეთოდური მითითებანი, მინსკი, 1997, 65 გვ.
6. EMER/CORINAIR ევროპაში ატმოსფერულ გაფრქვევათა ინვენტარიზაცია, ატმოსფერულ გაფრქვევათა ინვენტარიზაციის სახელმძღვანელო, 1997, 148 გვ.

АНАЛИЗ ВЫБРОСОВ УГЛЕВОДОРОДОВ НЕФТИ С АВТОЗАПРОВОЧНЫХ СТАНЦИЙ

Л.В.Гвердцители, Д.В.Эристави, Н.Т. Мдинарадзе.

Грузинский технический университет

РЕЗЮМЕ

Определено по источникам загрязнения автозаправочной станции выбросы и приземная максимальная концентрация углеводородов нефти в атмосфере.

ANALYSIS OF THE OIL CARBO-HYDROGENS THROW OUT OF PETROL-STATION

Leila Gverdtsiteli, Dimitri Eristavi, Nino Mdinardze

Georgian Technical University

SUMMARY

The throw out and earth surface concentration of the oil carbo-hydrogenes in atmosphere according to sources of polution of petrol-station is defined.

**ВАРИАЦИЯ СТОКА РЕКИ АРАГВИ В ТЕКУЩЕЙ КЛИМАТИЧЕСКОЙ
ФЛУКТУАЦИИ И ПРОГНОЗ НА БЛИЖАЙШЕЕ БУДУЩЕЕ (2030-2050 гг.)**

Г.С. Метревели, Т.А.Шарашенидзе

Тбилисский государственный университет им. И.Джавახишвили

Климат земли формируется под влиянием тепловой энергии принимаемой её атмосферой от солнца и из недр планеты. Величина энергии зависит от факторов космического и земного происхождения[1], характеризующихся различной повторяемостью и степенью воздействия на этот поток.

Активность преобладающей части факторов характеризуются цикличностью и внутрицикловыми вариациями. Поэтому климат Земли, отражающий многолетний режим атмосферы, также характеризуется цикличностью и различными вариациями накладывающийся на циклы.

За последние ~10-11 тыс. лет климат Земли находится в цикле потепления[2], известном под названием «Голоцен» (рис.1). Средняя температура воздуха в этом цикле ~14,0⁰С. Под влиянием различных факторов с относительно коротким периодом действия, температура воздуха, а также остальные элементы климата испытывают колебания, называемые флуктуациями. При подобных явлениях средняя глобальная температура воздуха падает до 11.5⁰С (похолодание) или повышается до 16.5⁰С (потепление). Продолжительность таких флуктуаций составляет ~300-450 лет и они имеют существенное влияние на окружающую среду и социальные условия населения. Многочисленные примеры из истории человечества подтверждают высокую вероятность повторения подобных социальных потрясений в регионах с высокой плотностью населения.

В настоящее время климат Земли находится под влиянием очередной флуктуаций, стартовавшей 1880-ые годы (рис.2). В начальной стадии процесс потепления развивался под воздействием естественных факторов. Однако, после 1960-ых годов резко активизировался антропогенный фактор и в результате синхронного действия этих факторов, глобальная температура воздуха возросла до 14.5⁰С, а в высоких широтах прирост температуры превысил 3.0⁰С[3]. При этом, поскольку процесс ускоряется, она может прогрессировать, по крайней мере до конца текущего столетия.




Рис. 1. Колебание температуры воздуха в Голоцене в северном и южном полушариях (По данным бурения ледовых щитов Гренландии (выше) и Антарктиды)

В прошлые тысячелетия климатические флуктуации, даже в периоды их экстремального развития не могли вызвать таких тяжелых социальных потрясений, которые может вызвать текущая

ფლუქტუაცია. Это объясняется «демографическим взрывом» XX века, в результате чего численность планеты выросла с 1,8 млрд. человек (XIX в.) до 7.1 млрд., причем рост плотности населения в прибрежной зоне океанов и морей идет с угрожающим для экологии и безопасности народов, темпом.

Опасность нынешней флуктуаций заключается в том, что она провоцирует ряд процессов, из которых наиболее существенные [4]: а). Усиление контрастности климата; б). Изменение традиционной схемы распределения влаги по суше; г). Современная эвстазия –повышение уровня морей и океанов в результате теплового расширения воды и изменения баланса пресной воды между сушей и океаном в пользу последнего.

Изменения температуры, уровня моря и площади снежного покрова в северном полушарии




Рис. 2. Изменение температуры воздуха, уровня моря и снежного покрова в северном полушарии Земли в текущей климатической флуктуаций (Credit from Summary of the Working Group, ..)

В Грузии эти процессы проявляются с различной интенсивностью и эффективностью. Современная эвстазия серьезно угрожает в дельте р. Риони тем, что: а). Повысила уровень моря, реки и озера Палиастими на 0.2 м, а в ближайшее будущее (2030-2050 гг.) эта величина может удвоиться; б). Усиление контрастности климата проявляется в увеличении дефицита увлажнения в засушливой части Восточной Грузии и существенном повышении количества осадков в высокогорной части страны. Вероятно, эти явления являются результатом акселерации процесса меридионального переноса влаги через Большой Кавказ. Достоверность подобных выводов подтверждается данными исследования водности рек Риони (бассейн Черного моря) и Лиахви (бассейн Каспийского моря), а также регрессионным анализом уровневных рядов Черного моря [5].

С целью большей детализацией характера влияния текущей флуктуаций на процесс меридионального переноса влаги через Большой Кавказ, была исследована водность р. Арагви за период систематических гидрологических и климатических наблюдений (1928-2000 гг.). Выбор данной реки объясняется важностью проблемы, а также ролью р. Арагви для водного и рекреационного хозяйства Грузии. Важным условием при выборе реки было то обстоятельство, что современное оледенение бассейна с его климатической активностью недостаточно и не могут существенно повлиять на точность расчетов за их незначительностью.

Река Арагви, левобережный приток р. Куры, образуется при слиянии рек Тетри (Белая) и Шави (Черная) Арагви на высоте 1040 м [6.]. Гидрографическая длина реки, т.е. расстояние от устья до наиболее удаленной от него точки на водоразделе, равна 122 км, средний уклон ~24‰. Основные притоки реки, кроме указанного, Пшавис Арагви и Аркала.

Водосбор, площадью 270 км², расположен на южных отрогах центральной части Большого Кавказа. Он простирается от 443 м до 3773 м при средней высоте 1864 м (рис. 3). В гидрорежиме

реки выделяется половодье с марта до конца августа, после чего наступает осенняя межень, часто прерываемая дождевыми паводками. Зимняя межень длится с декабря по февраль и имеет устойчивый режим.

Река Арагви является основным источником коммунального и ирригационного водоснабжения г. Тбилиси. Ее фильтраты с XIX века снабжают город через Булачаурской и Натахтарской водопроводы. Быстрый рост населения породили ряд водохозяйственных, энергетических и рекреационных проблем, с целью решения которых у пос. Живали 1985 году построено одноименное водохранилище сезонного регулирования. Объем водохранилища составляет 544 млн. м³, а площадь водного зеркала 12 км². Из него вода городу подается через Жинвальский магистральный канал (ЖМК), пропускная способность которого 12 м³/с.

Река и водохранилище рассматриваются как потенциальный ресурс, способный покрыть дефицит коммунальной и ирригационной вод и инертных материалов в сближающем десятилетие, а водосбор и побережье водоема как районы для расширения рекреации и туризм; в будущем предусматривается строительство второй линии ЖМК, рекреационных комплексов и широкой туристической сети.

Следовательно, прогноз водности реки и экологий бассейна в условиях изменения климата при интенсивном освоений бассейна, представляют совокупность сложных проблем, решение которых существенно обогатит информационную базу, необходимую для контролирования экологических процессов в бассейне р. Арагви.




Рис. 3. Бассейн р.Арагви и Жинвальское водохранилище с измерительной гидрометеорологической сетью: I - г/п Цихисдзири; II - г/п Аркала; III- г/п Тваливи; IV - г/п Жинвали ГЭС; V - г/п Чинти; VI - г/п. Мцхета

Исследование водности реки Арагви

Систематические гидрологические наблюдения над стоком реки проводились в 1928 - 1998 годы [7]. В остальные годы, включая 2010, подобные промеры выполнялись частными организациями и группами независимых исследователей причем, заполнить информационный пробел указанных лет удалось по расчетным данным расхода воды через Жинвали ГЭС за суточный, недельный и годовой отрезки времени, а также по измерениям расхода воды р. Арагви (г/п. Цихисдзири) и р. Пшавис Арагви (г/п. Тваливи), выполненным поплавочным и инструментальным методами 30.05.10, 27.06.10 и 11.07.10. Такие контрольные промеры обычно проводятся при комплексных исследований экологических, гидрометеорологических и других показателей речных бассейнов. При выполнении указанных промеров отбирались пробы ила и воды с целью анализа на содержание органических и других опасных загрязнителей.

По среднемесячным и годовым величинам расхода воды в створе Жинвали ГЭС (бывший гидрометеорологический пост Чинти), удалось построить статистические ряды, продолжительность

которых была достаточной для расчета приращения стока с точностью 95-97%. С целью определения тенденций изменения среднемесячного и годового стока реки, были построены соответствующие графики по уравнениям криволинейной регрессий (рис.4,5) и рассчитаны годовые значения приращения стока.




დადგენილია, რომ გადასამუშავებლად მოწოდებული უნდა იქნას ჯანმრთელი, მწიფე მზესუმზირის თესლები მჟავური რიცხვით არა უმეტეს 2მგ КОН და ტენიანობით არა უმეტეს 8%. ასეთი თესლების გადასამუშავების შედეგად მიღებული კოპტონი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ ნორმებს: ჩენჩოს შემცველობა – არა უმეტეს 8%, ტენისა და აქროლადი ნივთიერებების მასური წილი - 7,0 – 9,5%, ნელლი ცხიმის მასური წილი - არა უმეტეს 1,0% აბსოლუტურად მშრალ ნივთიერებაზე, ნელლი პროტეინის მასური წილი – 48,0% აბსოლუტურად მშრალ ნივთიერებაზე, ჯამური ხსნადი პროტეინის მასური წილი - არა უმეტეს 80,0%.

PRESSED SUNFLOWER SEEDS FOR PRODUCTION OF PROTEIN PRODUCTS

Manana Siradze, Irina Berdzenishvili, Nino Neparidze

Georgian Technical University

SUMMARY

The sunflower seeds to be processed must be mature and disease-free, with the acid number no more than 2 mg KOH and the humidity no more than 8%. After processing, the pressed sunflower seeds must meet the following norms: the content of hull – no more than 8%; the fraction of total mass of moisture and volatile substances – 7.0-9.5%; the fraction of total mass of oil – no more than 1.0% for absolutely dry substance; the fraction of total mass of soluble protein – no less than 80.0%.

ქიმიური დეზინფექტანტების მოქმედების მექანიზმები

გიორგი ჩიმაკაძე*, ზიგფრიდ კურატაშვილი, ინგა აბლუშელიშვილი, ვენედიქტე წერეთელი

**გ.რობაკიძის სახელობის უნივერსიტეტი
საქართველოს სახელმწიფო აგრარული უნივერსიტეტი*

ადამიანი ახალი სადეზინფექციო საშუალებების შექმნასთან ერთად ხელოვნურად ხელს უწყობს მიკრობების ცვალებადობის მექანიზმის სრულყოფას და ამით თავისდაუნებურად ქმნის დეზინფექტანტების მიმართ მდგრადი მიკროორგანიზმების ახალი შტამების წარმოქმნის პირობებს.

დეზინფექციის ერთერთ ძირითად მეთოდს წარმოადგენს ანტიმიკრობული თვისებების მქონე ქიმიური ნივთიერებების გამოყენება. მსოფლიო ბაზარზე არსებული სადეზინფექციო საშუალებების მრავალფეროვნების მიუხედავად, მათ შემადგენლობაში არსებული აქტიურად მოქმედი ნივთიერებების რაოდენობა საკმაოდ შეზღუდულია, რადგან პრეპარატების მიმართ წაყენებული მოთხოვნები მკვეთრად ამცირებენ დეზინფექტანტების აქტიურ საწყისად გამოყენებული ქიმიური ნაერთების არეალს. ამდენად, არსებული სადეზინფექციო საშუალებების წარმოება ემყარება რამოდენიმე ტრადიციულ ქიმიურ ნივთიერებათა ჯგუფს, რომლებიც ერთმანეთისგან განსხვავდებიან ბაქტერიციდული მოქმედების სპექტრით: ალდეჰიდებს, აქტიური ქლორის და აქტიური ჟანგბადის შემცველ ნაერთებს, გუანიდინის ნაწარმებს, ფენოლებს, სპირტებს, ზედაპირულად აქტიურ ნივთიერებებს, ამინებს [1-16].

სადეზინფექციო საშუალებები ფართოდ გამოიყენება სან-ეპიდემიური და ვეტ-სანიტარული ღონისძიებებისთვის; ქირურგიული და ლაბორატორიული ინსტრუმენტების სტერილიზაციისთვის; ენდოგენური და ეგზოგენური ინტოქსიკაციის, სეფსისის, პერიტონიტის სამკურნალოდ და ა.შ.; სტომატოლოგიაში კბილის ღია არხების გასაუვნებლად; წყლის დეზინფექციისთვის; საარქივო დოკუმენტების დასამუშავებლად და სხვ. [17-37]. შესაბამისად მათ უნდა ახასიათებდეთ მოქმედების ფართო სპექტრი.

ცნობილია მხოლოდ სამი ტიპის ქიმიური ნაერთი, რომელთაც უდავოდ ახასიათებთ სპოროციდული აქტივობა. ესენია – ალდეჰიდები, აქტიური ქლორის და აქტიური ჟანგბადის შემცველი ნაერთები. აქედან გამომდინარე ნაშრომის მიზანია დეზინფექტანტის შემადგენელი ბიოციდური აქტივობის განმსაზღვრელი ძირითადი ქიმიური ნაერთების მოქმედების მექანიზმების განხილვა.

ალდეჰიდები. ალდეჰიდების ჯგუფიდან დეზინფექციის პრაქტიკაში გამოიყენება ფორმალდეჰიდი, გლიოქსალი, გლუტარალდეჰიდი, ქარვის ალდეჰიდი, ორთოფტალის ალდეჰიდი. მაღალი ანტიმიკრობული აქტივობის მიუხედავად, ფორმალდეჰიდის გამოყენება შეზღუდულია ძლიერი გამაღიზიანებელი და კანცეროგენული თვისებების გამო [7, 8, 12]. ალდეჰიდებს შორის ყველაზე ფართოდ გამოიყენება გლუტარალდეჰიდი, როგორც მაღალი ღონის დეზინფექტანტი და სტერილანტი. მისი ეფექტური მოქმედებისათვის აუცილებელია შესაბამისი აქტივატორების გამოყენება [2, 38].

ალდეჰიდების შემცველი პრეპარატები წარმოადგენენ მაღალეფექტურ და საიმედო სტერილანტებს, ამავე დროს არ იწვევენ ინსტრუმენტების და სხვა მასალების კოროზიას, არ აზიანებენ ქსოვილებს და ზედაპირებს, ხასიათდებიან სტაბილურობით, სწრაფი დაშლით გარემო არეში, შესაძლებელია მათი გამოყენება ოპტიკური ინსტრუმენტების დეზინფექციისთვის, ეფექტურებია ორგანული ნივთიერებების თანაობისას.

გლუტარალდეჰიდის წყალხსნარებს აქვთ მჟავა რეაქცია (pH 3,0-4,0) და არ გააჩნიათ სპოროციდული აქტივობა, ხოლო ტუტე არეში (pH 7,0-9,0) ისინი სპოროციდულია [30, 40]. გლუტარალდეჰიდის სპოროციდული აქტივობის პოტენცირება შესაძლებელია სხვადასხვა ბუფერების (მაგალითად, ფენოლ/ფენოლატი) საშუალებით. გლუტარალდეჰიდის შემცველი სადეზინფექციო საშუალება უნდა იყოს აქტივირებული და შეიცავდეს დანამატებს (ფენოლები, სპირტები, კომპლექსონები), რომლებიც გააძლიერებენ მის ეფექტურ მოქმედებას. გლუტარალდეჰიდის აქტივაცია პირდაპირ დაკავშირებულია რადიკალური ნაწილაკების წარმოქმნასთან და პოლიმერიზაციის

რეაქციასთან, რომლის მიმდინარეობის სიჩქარე განსაზღვრავს მის სპოროციდულ თვისებებს. პოლიმერიზაციის რეაქციის ინიცირება ტრადიციულად შეიძლება ორი გზით წარიმართოს: ტუტე არეს შექმნით (pH 7,0-9,0) და ტემპერატურის გაზრდით (40-500C) [2, 40].


ამრიგად, გლუტარალდეჰიდის საფუძველზე დამზადებული ყველა მაღალი დონის დეზინფექტანტი საჭიროებს წინასწარ ტუტე არეს შექმნას ან ტემპერატურულ დამუშავებას. ტემპერატურის მატება მნიშვნელოვნად ზრდის გლუტარალდეჰიდის პოლიმერიზაციის რეაქციის სიჩქარეს, ამიტომ ამ ხერხით აქტივირებული ხსნარები გამოიყენება ერთჯერადად და ამ შემთხვევაში მათი კონცენტრაცია არ აღემატება 1 %-ს. ტუტე არეში გლუტარალდეჰიდის პოლიმერიზაცია მიმდინარეობს შენელებული სიჩქარით, რაც საშუალებას იძლევა ალდეჰიდის მაღალი კონცენტრაციის შემცველი (2,0-3,5%) ხსნარების გამოყენების საშუალებას მრავალჯერადად, 30 დღელამის განმავლობაში [2, 39, 40].

გლუტარალდეჰიდის საფუძველზე დამზადებული პრეპარატები გამოყენებული უნდა იქნას მხოლოდ კრიტიკული და ნახევრადკრიტიკული საგნების დამუშავების დროს და არა არაკრიტიკული ზედაპირებისათვის, რადგან მათ ახასიათებთ მთელი რიგი უარყოფითი თვისებები: კონცენტრატის სპეციფიკური სუნი, ძლიერი ტოქსიკურობა, ცილოვან ნივთიერებათა ფიქსაცია და ამავე დროს აღნიშნული პრეპარატები ძვირადღირებულია, რის გამოც მათი ფართო გამოყენება არ არის რეკომენდირებული [41]. სწორედ ამიტომ ინგლისში 2002 წლიდან კანონმდებლობით აკრძალულია მათი გამოყენება [42].

აქტიური ქლორის შემცველი ნაერთები. აქტიური ქლორის შემცველი ნაერთები, რომელთაც ახასიათებთ ფართო მოქმედების ანტიმიკრობული სპექტრი, ტრადიციულ სადეზინფექციო საშუალებებს წარმოადგენენ. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ათეული წლების განმავლობაში მათმა გამოყენებამ გამოიწვია მიკროორგანიზმების რეზისტენტობა აღნიშნული პრეპარატების მიმართ. ამ ნაერთების მოქმედების მექანიზმი ჯერ კიდევ სრულად არ არის გამოკვლეული. სავარაუდოდ, მათი ზემოქმედებით მიკრობულ უჯრედებში ზორციელდება ზოგიერთი უმნიშვნელოვანესი ფერმენტული რეაქციის ჩანშობა, ცილების და ნუკლეინის მჟავების დენატურაცია [2, 13, 18].

აქტიური ქლორის შემცველი დეზინფექტანტებიდან აღსანიშნავია ნატრიუმის და კალციუმის ჰიპოქლორიტები, ქლორამინები, დიქლორიზო-ციანურატი. ქლორის შემცველი ორგანული ნაერთები ხასიათდებიან სამუშაო ხსნარებში ქლორის ნელი გამოყოფით და შედეგად აქვთ პროლონგირებული ბიოციდური მოქმედება. დღეისათვის უდავოდ დამტკიცებულია, რომ ქლორის შემცველი ნაერთების ბაქტერიციდული მოქმედების განმსაზღვრელია ქვექლოროვანი მჟავა (HClO). აღსანიშნავია, რომ ყველა უმაღლესი მრავალუჯრედიანი ორგანიზმი, ადამიანის ჩათვლით, განსაკუთრებულ უჯრედულ სტრუქტურებში ასინთეზებს ქვექლოროვან მჟავას და მაღალაქტიურ მეტასტაბილურ ქლორფანგბადიან და ჰიდროპეროქსიდულ ნაერთებს (ოქსიდანტების მეტასტაბილურ ნარევს) მიკროორგანიზმების და უცხო წარმოშობის სუბსტრატების საწინააღმდეგოდ [18, 40, 43-48].

ქვექლოროვანი მჟავა წყალხსნარებში დისოცირდება წყალბადის და ჰიპოქლორიტ-იონების წარმოქმნით:



ნეიტრალურ არეში HClO-ს და ჰიპოქლორიტ-იონის ClO⁻-ს კონცენტრაციები დაახლოებით თანაბარია. pH-ის შემცირება იწვევს ამ რეაქციის წონასწორობის გადახრას მარჯვნივ, ანუ HClO-ს კონცენტრაციის გაზრდას, ხოლო pH-ის გადიდება – ჰიპოქლორიტ-იონების კონცენტრაციის გაზრდას [48, 49]. ქლორის ფანგბადოვანი ნაერთები უმაღლეს ბაქტერიციდულ აქტივობას ამჟღავნებენ pH 7,0-7,6 დიაპაზონში, რომლის დროსაც ჰიპოქლორიტ-იონების და ქვექლოროვანი მჟავას კონცენტრაციები თანაბარია [49]. ეს ფაქტი აიხსნება იმით, რომ pH-ის აღნიშნულ ზღვრებში წარმოიქმნება მეტასტაბილური სისტემები მთელი რიგი ნაერთების და ნაწილაკების სახით, რომელთაც აქვთ გაცილებით მაღალი ანტიმიკრობული მოქმედება ქვექლოროვან მჟავასთან შედარებით, კერძოდ: ¹O₂-სინგლეტური მოლეკულური ფანგბადი; ClO⁻- ჰიპოქლორიტ-რადიკალი; Cl⁻-რადიკალი (ატომური ქლორი); O⁻-ატომური ფანგბადი; OH⁻-ჰიდროქსიდის რადიკალი. ქლორის ფანგბადოვანი ნაერთების

რეაქციებს აკატალიზებენ H^+ და OH^- იონები, რომელთა რაოდენობები წყალში დაახლოებით ტოლია ნეიტრალურთან ახლოს მდგომ pH-ის პირობებში [18, 49, 50].

აღნიშნულ მექანიზმს ექვემდებარება ყველა ამ ტიპის პრეპარატი. მაგალითად, ნატრიუმის დიქლორიზოციანურატის შემცველი პრეპარატები. ამ შემთხვევაშიც მოქმედ ნივთიერებას წარმოადგენს ქვექლოროვანი მჟავა, რომელიც წარმოიქმნება ნატრიუმის დიქლორიზოციანურატის წყალთან მოქმედებით. pH-ის რეგულირება ხდება შესაბამისი ბუფერების გამოყენებით [40].

ამ მიმართულებით მნიშვნელოვანია ელექტროქიმიურად აქტივირებული ნატრიუმის ქლორიდის ხსნარი. ელექტროლიზის შედეგად წარმოიქმნება ნატრიუმის ჰიპოქლორიტი და მიმდინარეობს მთელი რიგი პარალელური რეაქციები ზემოთ აღნიშნული რადიკალების წარმოქმნით [48].

ყოველივე ზემოთქმულიდან შეიძლება გაკეთდეს დასკვნა: ანტიმიკრობული პრეპარატის მიმართ მიკროორგანიზმების რეზისტენტობის გამომუშავების გამორიცხვა შესაძლებელია მხოლოდ მეტასტაბილური მოქმედი ნივთიერებების შემცველი ხსნარების გამოყენებით, რომელთა მრავალმხრივი და გაუთვალისწინებელი (მიკროორგანიზმებისთვის) დაშლის რეაქციის განვითარება იწვევს ცხოველმყოფელობის პროცესების რღვევას. აქედან გამომდინარე, სადებიფექციო ხსნარის ნებისმიერ კომპოზიციაში სასურველ პირობას წარმოადგენს ქლორშემცველი ნაერთების ჩართვა [51].

აქტიური ჟანგბადის შემცველი ნაერთები.

აქტიური ჟანგბადის შემცველი ნაერთებიდან სხვადასხვა ობიექტების დეზინფექციისთვის და სტერილიზაციისთვის ფართოდ გამოიყენება წყალბადის პეროქსიდი [2, 9, 47, 52-55]. წყალბადის პეროქსიდს ახასიათებს მაღალი ბაქტერიციდული, ვირულიციდური, ფუნგიციდური, ტუბერკულოციდური და სპოროციდული აქტივობა. პრეპარატები, რომლებიც შეიცავენ წყალბადის პეროქსიდს 3,0 – 6,0 % კონცენტრაციის ინტერვალში სტაბილური და საიმედო დეზინფექტანტებია. მაღალი კონცენტრაციის პირობებში (6,0 – 25,0 %) იგი წარმოადგენს სტერილანტს. 0,85 %-იანი ფოსფორმჟავით აქტივირებული 7,5 %-იანი წყალბადის პეროქსიდი კლასიფიცირდება როგორც მაღალი დონის სადებიფექციო საშუალება [2, 9].

წყალბადის პეროქსიდი არის ძლიერი დამჟანგავი, რომლის მოქმედების საფუძველს წარმოადგენს თავისუფალი რადიკალების წარმოქმნა, რომლებიც აზიანებენ უჯრედული მემბრანის ლიპიდებს, დნმ-ს და მიკრობული უჯრედის სხვა მნიშვნელოვან კომპონენტებს [2, 9].


წყალბადის პეროქსიდის მაღალი კონცენტრაციების გამოყენების შემთხვევაში, ფერმენტული სისტემები ვერ ახორციელებენ მათ რეზისტენტულ დაცვას [9]. ამ დადებითი თვისებების ფონზე, რაც გამოიხატება მოქმედების ფართო სპექტრით (მათ შორის ბაქტერიების სპორებზე), სისხლის და სხვა ბიოლოგიური ნივთიერებების გახსნის უნარით, სწრაფი დაშლით არატოქსიკურ ნაერთებად და სუნის უქონლობით, მას პარალელურად ახასიათებს უარყოფითი თვისებაც – მაღალი ტოქსიკურობა (II კლასი) ქსოვილების მიმართ.

ტოქსიკურობის, კოროზიის შემცირების, ანტიმიკრობული აქტივობის და სტაბილურობის გაზრდის მიზნით, წყალბადის პეროქსიდის საფუძველზე იქმნება კომპოზიციური პრეპარატები [2, 35, 56]. პრაქტიკული გამოყენებისთვის შედარებით მოსახერხებელია პეროქსიდების მყარი ფორმით გამოყენება (ნატრიუმის პეროქსიკარბონატი, კარბამიდის პეროქსიდი, ნატრიუმის პეროქსიბორატი).


გარკვეულ პირობებში სუფთა წყალბადის პეროქსიდი იშლება აფეთქებით, დიდი ენერგიის (98 კჯ/მოლ.) გამოყოფით. საშიშია აგრეთვე მისი კონცენტრირებული წყალხსნარებიც. წყალბადის პეროქსიდის კატალიზურ დაშლას იწვევს ზოგიერთი ფერმენტი, მძიმე მეტალთა ან იოდის იონები. წყალბადის პეროქსიდით დეზინფექციის მიზნით ჭრილობის დამუშავების დროს სისხლში არსებული კატალაზა იწვევს მის ინტენსიურ დაშლას ჟანგბადის გამოყოფით. ფერმენტი პეროქსიდაზა H_2O_2 -ის მეშვეობით ახორციელებს სხვა ნივთიერებების ჟანგვას. კატალაზა და პეროქსიდაზა გარდაქმნიან H_2O_2 -ს წყლად და ჟანგბადად [9, 18].

H_2O_2 -ის დაშლა მიმდინარეობს რადიკალურ-ჯაჭვური მექანიზმით. რეაქციის ინიცირებას იწვევს კატალიზატორები, მაგალითად, H_2O_2 -ის და Fe^{2+} -ის წყალხსნარებში მიმდინარეობს ელექტრონის გადატანა Fe^{2+} -დან H_2O_2 -ის მოლეკულაზე Fe^{3+} -ის და ძლიერ არამდგრადი ანიონ-რადიკალის $[H_2O_2]^-$ წარმოქმნით, რომელიც მომენტალურად იშლება OH^- ანიონად და OH რადიკალად. OH რადიკალი ძლიერ აქტიურია. თუ სისტემაში არ არის ორგანული ნაერთები, მაშინ მისი ჰიდროქსილის რადიკალი

რეაგირებს H_2O_2 -თან ნაკლებაქტიური $\text{HO}_2\cdot$ რადიკალის წარმოქმნით, რომელსაც შესწევს უნარი აღადგინოს Fe^{3+} , რითაც იხურება კატალიზური ციკლი [2, 9, 18]:



ზოგიერთი კატალიზატორი H_2O_2 -ის დაშლის ინიცირებას ახდენს არაჯაჭვური მექანიზმით, მაგალითად:




წყალბადის პეროქსიდს ახასიათებს საინტერესო თვისება, მას გააჩნია უნარი სხვადასხვა არეში გამოამჟღავნოს როგორც დამჟანგავის, ისე აღმდგენლის თვისება. ამ თვისებიდან გამომდინარე მიზანშეწონილია მისი გამოყენება სადებინფექციო კომპოზიციებში [2, 9].

პერმანგანატი (პმ). სინერგეტიკული სპოროციდული ეფექტი მიიღწევა, როდესაც წყალბადის პეროქსიდი კომბინაციაშია მმარმჟავასთან [57]. პმ-ს მოქმედების მექანიზმი სრულად არ არის შესწავლილი. *Staph.aureus*-ის მაგალითზე დადგენილია, რომ ამ ნაერთის სუბლეტალური კონცენტრაციების მოქმედებით შეიმჩნევა ინტრაციტოპლაზმური მემბრანების სტრუქტურული ზაცია, რაც შეესაბამება სუნთქვის აქტივობის ზრდას, შემდგომში მემბრანების დაშლას, უჯრედული სუნთქვის მოშლას და ბაქტერიების დაღუპვას [58]. აგრეთვე დადგენილია, რომ პმ ისე როგორც პერფორინი და პერპროპიონი მჟავები ახდენს როგორც კატალაზას, ისე პეროქსიდაზას ინაქტივაციას, მაშინ როდესაც წყალბადის პეროქსიდი ახდენს მხოლოდ კატალაზას ინაქტივაციას [59]. ფერმენტული სისტემების ასეთი დაზიანება შეუქცევადია. შესაბამისად პმ-ს მოქმედებით ზიანდება ბაქტერიების როგორც უჯრედული მემბრანა, ისე ფერმენტული სისტემა. არსებული მონაცემების მიხედვით პმ-ის მიმართ მიკროორგანიზმების რეზისტენტობა პრაქტიკულად გამორიცხულია [60].


პმ-ს გააჩნია მოქმედების ფართო სპექტრი. პათოგენური მიკროორგანიზმები *Pseudomonas aeruginosa*, *Mycobacterium tuberculosis*, *Mycobacterium bovis*, *Bacillus Anthracis*, *Staph. aureus* და *E. coli*-ის სხვადასხვა შტამები რამოდენიმე წუთის განმავლობაში სრულად იღუპებიან მისი 0,0025 – 0,2 %-იანი ხსნარების მოქმედებისას. ამასთან, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ აღნიშნული კონცენტრაციების ზედა ზღვრის ფარგლებში იღუპებიან სპორებიც. აღსანიშნავია, რომ პმ-ს აქტივობა დიდად არ არის დამოკიდებული ტემპერატურაზე. მის ეფექტურობაზე უარყოფითად მოქმედებს ხისტი წყალი, აგრეთვე დასამუშავებელ ობიექტებში ცილების და ნახშირწყლების არსებობა. პმ-ს ეფექტურობის გაზრდა შესაძლებელია ეთანოლის, ნ-პროპანოლის ან იზოპროპანოლის დამატებით [61, 62].

პმ საკმაოდ ადვილად იშლება. იგი წყალბადის პეროქსიდზე უფრო არამდგრადია. კონცენტრირებული ხსნარები ფეთქებადი და ცეცხლსაშიშია. განზავებულ ხსნარებში პმ ჰიდროლიზურად იშლება მმარმჟავად და წყალბადის პეროქსიდად:



ამ რეაქციის სიჩქარის დამოკიდებულება ტემპერატურაზე და pH-ის მნიშვნელობაზე: თუ 40°C-ზე ნახევრადდაშლის პერიოდი რამდენიმე თვეა, 40°C-ზე ერთ კვირამდე მცირდება. pH 2,7-ზე მისი 0,2%-იანი ხსნარი სტაბილურია რამდენიმე კვირის განმავლობაში, მაშინ როდესაც pH 5,7-ზე ნახევრადდაშლის პერიოდი შეადგენს ერთ კვირაზე ნაკლებს [40, 61].

მძიმე მეტალების თანაობისას მიმდინარეობს დაშლის სხვა რეაქცია:



კომპლექსწარმოქმნელების გამოყენებით შესაძლებელია ამ მეტალების კატალიზური ზემოქმედების მნიშვნელოვანი შემცირება. ჰმმ-ს სტაბილიზაციისთვის იყენებენ ფოსფატებს და ფოსფონატებს, აგრეთვე ლიმონმჟავას, კრეზოლსულფომჟავას, დიბიკოლინმჟავას, დინიკოლინმჟავას, პირიდინის N-ოქსიდს და ნიკოლინმჟავას N-ოქსიდს. ჰმმ სხვა სადებიფექციო საშუალებებთან შედარებით ხასიათდება ძლიერი კოროზიული მოქმედებით. იგი აზიანებს რკინას, ფოლადს, თითბერს, სპილენძს, კაუჩუკს, საშენ მასალებს, ელექტრონულ ხელსაწყოებს. კოროზიული აქტივობის შემცირება შესაძლებელია პოლიფოსფატების, დიქრომატის ან თიოშარდოვანას დამატებით. მაგრამ მაღალი კოროზიული თვისებების გამო მისი გამოყენება შეზღუდულია [61].

ცალკეულ გამოკვლევებში [59, 61] ნაჩვენებია, რომ ჰმმ, ისე როგორც პერჭიანჭველმჟავა და პერპროპიონმჟავა, ხასიათდება ტოქსიკურობით. ლაბორატორიულ ცხოველებში ჰმმ-ს ზემოქმედებით შეიმჩნევა ერითროციტების, ჰემოგლობინის საერთო რაოდენობის და ეოზინოფილური გრანულოციტების მატება და სხეულის წონის კლება. მას ხსნიან ფილტვების ქსოვილის დაზიანებით და შესაბამისად, O₂/CO₂-ის თანაფარდობის დარღვევით.

ამგვარად, ძლიერი ტოქსიკურობის გამო ჰმმ-ს გამოყენება ითვალისწინებს უსაფრთხოების აუცილებელი რეკომენდაციების დაცვას.

ოზონი. ოზონი წარმოადგენს მინიმალური სელექტურობის მქონე მოქმედების ფართო სპექტრის დეზინფექტანტს, რომელიც ეფექტურად ანგრევს ორგანული ბუნების პრაქტიკულად ყველა მოლეკულურ ობიექტს. დადგენილია მისი მაღალეფექტური მოქმედება სოკოების, სპორების, ობის, ამების, ვირუსების და მიკრობების ინაქტივაციის პროცესში. მისი მოქმედება დაფუძნებულია ფერმენტული სისტემის მუშაობის ბლოკირებასა და ინჰიბირებაზე. გარდა ამისა შესაძლებელია მისი მოქმედება ჟანგვა-აღდგენით პროცესების მექანიზმებზე. დამჟანგავი აგენტის გარკვეული რაოდენობა სავარაუდოდ შლის უჯრედის მემბრანას, რაც აგრეთვე იწვევს მიკროორგანიზმების დაღუპვას [63, 64]. ოზონის მოქმედების მექანიზმის განსჯისას განიხილავენ მისი მოქმედების აქტივობის შედარებას სხვა დეზინფექტანტებთან, მაგალითად ჰიპოქლორიტ-იონებთან (OCI). უკანასკნელის შედარებით ნაკლები აქტივობა აიხსნება იმით, რომ უჯრედის მემბრანის თავისუფალი ელექტრონული მუხტი გარკვეული ხარისხით ხელს უშლის უჯრედში მის შეღწევას. რადგან ოზონი არ ურთიერთქმედებს წყალთან, უჯრედის ამ თვისებას მისთვის მნიშვნელობა არა აქვს. pH-ის ფართო დიაპაზონში მისი მოქმედების ეფექტურობა გაცილებით მცირედ იცვლება, ვიდრე ქლორშემცველი დეზინფექტანტების [64, 65-67].

ავტორებს [68] მიაჩნიათ, რომ მჟანგავი აგენტები (მოლეკულური ოზონი, წყალბადის ზეჟანგი), შლიან სპორების გარე შრეს და ამის შემდეგ მოქმედებენ როგორც დეზინფექტანტები. ეს საფარი, რომელიც უჯრედის მოცულობის დაახლოებით 50%-ს შეადგენს, შეიცავს დაახლოებით 80% სპორების პროტეინს, და წარმოადგენს ბარიერს ფერმენტებისთვის [69, 70]. სპორების გარსის დესტრუქცია შესაძლებელია სხვა დამჟანგავების მოქმედებითაც, მაგალითად, წყალბადის ზეჟანგით ან ჰიპოქლორიტით, რომლებიც აცილებენ გარსს და ამით აიოლებენ დეზინფექტანტის შეღწევას პროტოპლაზმაში [71]. მაგრამ ოზონი აღწევს უჯრედში გაცილებით სწრაფად, ვიდრე წყალბადის პეროქსიდი და ამით მისი ეფექტურობა გაცილებით მაღალია (2-4 რიგით).

ოზონის მოქმედების მექანიზმი, სხვადასხვა არეში (მაგალითად, წყალში და ჰაერში), ერთმანეთისგან განსხვავებულია, რაც განპირობებულია ოზონის დაშლის პროცესების სპეციფიკურობით ყოველი კერძო შემთხვევისთვის და შედეგად მაღალაქტიური პროდუქტების წარმოქმნით.

წყალში ოზონის ეფექტურობა (ანტიმიკრობული და სპორების მიმართ) განსაკუთრებით მაღალია. სხვადასხვა ავტორების მონაცემები ემთხვევა ერთმანეთს და ადასტურებს სრული სტერილიზაციის შესაძლებლობას [72-74]. ოზონი ძალიან სუფთა წყალშიც კი რეაგირებს ჰიდროქსიდ-ონებთან ჰიდროქსილის რადიკალის წარმოქმნით. ოზონის და ჰიდროქსილის რადიკალის ბალანსზე გავლენას ახდენს ოზონის კონცენტრაცია, არეს pH, მინარევების რაოდენობა და ბუნება.

ჰაერში ოზონი იშლება სინგლეტურ (ელექტრონულ-აღზნებულ), “აქტიურ” ჟანგბადად. ამ პროცესს ხელს უწყობს ულტრაიისფერი სხივების მოქმედება. ულტრაიისფერი სხივების მოქმედების გარეშე ოზონის სიცოცხლის ხანგრძლივობა რამდენიმე ათეულ საათს შეადგენს და ამ პერიოდში იგი რეაგირებს საწყისი მდგომარეობით, მცირდება მისი ჟანგვითი უნარი, იზრდება სელექტიურობა სხვადასხვა რეაქციებში და ინარჩუნებს ინაქტივაციის უნარს მიკროორგანიზმების მიმართ [75].

სპორების საერთო დამახასიათებელ თვისებას წარმოადგენს დამჟანგავების მიმართ მაღალი რეზისტენტობა, რაც გამოწვეულია მათი აგლომერატებად გართიანების ტენდენციით. სპორების აგლომერატები წარმოქმნიან მეზოფორულ სისტემას და აიოლებენ წყლის ორთქლის კონდენსაციას, ამასთანავე ცვლიან თავიანთი არსებობის და ოზონის შესაძლო მოქმედების პირობებს [18-63].

სანიტარულ-ეპიდემიოლოგიური დაცვის ღონისძიებების ეფექტურობისთვის აუცილებელია მიკრობებთან ბრძოლის ერთიანი სამეცნიერო კონცეფციის შემუშავება, რომელიც დაეფუძნება ბიოლოგიის ფუნდამენტურ კანონებს, ქიმიის, ფიზიკის და სხვა მეცნიერებების თანამედროვე მიღწევების შემდეგ პრინციპულ დებულებებს:

1. ქიმიური საშუალებების ეფექტურობის შეფასება უნდა მოიცავდეს მონაცემებს არა მარტო მისი ანტიმიკრობული აქტივობის სპექტრზე და გაუვნებლობის პროცესის ხანგრძლივობაზე, არამედ აგრეთვე მონაცემებს მიკროორგანიზმების უნარზე გამოიმუშავონ რეზისტენტობა მოცემული საშუალებების მიმართ;
2. ახალი, უსაფრთხო, ეფექტური ქიმიური ანტიმიკრობული საშუალებების შექმნა უნდა ემყარებოდეს მიკრო- და მაკროორგანიზმებს შორის ფუნდამენტური განსხვავებების გამოყენებას, მათ შორის უმაღლეს ორგანიზმებში მოქმედი მექანიზმების ან მოდელირების გზით;
3. ქიმიური ანტიმიკრობული საშუალებების უსაფრთხოების ხარისხის შეფასებისას აუცილებელია იმის განსაზღვრა, წარმოადგენენ თუ არა მოცემული დეზინფექტანტის აქტიურად მოქმედი ნივთიერებები ან სხვა კომპონენტები ქსენობიოტიკებს.

როგორც უკვე აღვნიშნეთ ქიმიური დეზინფექტანტების უმრავლესობის მიმართ მიკროორგანიზმებს უმუშავდებათ რეზისტენტობა. მიკროორგანიზმების რეზისტენტობის განვითარების გამორიცხვა შესაძლებელია მხოლოდ მეტასტაბილური მოქმედი ნივთიერებების ხსნარების გამოყენებით. ექსპოზიციის დროს მათი თავისთავადი დაშლა განაპირობებს მიკროორგანიზმებისთვის გაუთვალისწინებელი, მათი ცხოველყოფილობის პროცესის დამრღვევი რეაქციების განვითარების გზების სიმრავლეს და შესაბამისად დეზინფექტანტების ეფექტურობას.

ამრიგად, ეფექტური სადეზინფექციო საშუალებების შექმნის სწორ მიმართულებად შეიძლება ჩაითვალოს აქტიურად მოქმედი რამდენიმე ნივთიერების კომპოზიციების გამოყენება. შედეგად, მაქსიმალურ სინერგიზმთან ერთად მეტასტაბილური ნაერთების წარმოქმნა განაპირობებს მიკროორგანიზმებისთვის გაუთვალისწინებელი რეაქციების წარმართვას და შესაბამისად, რეზისტენტობის გამორიცხვას.

სამუშაო შესრულებულია საქართველოს ეროვნული ფონდის ხელშეწყობით (გრანტი № GNSF/ST 09-709-8-130)

ლიტერატურა – REFERENCES – ЛИТЕРАТУРА

1. Белова В.И., Волков Ю.П. Основные направления исследований в разработке дезинфицирующих средств. М., 1991, 215 с.
2. Федорова Л.С., Арефьева Л.И., Путинцева Л.С. и др. Современные средства дезинфекции и дезинсекции. Характеристика, назначение, перспективы. Медицина и здравоохранение. М., №2, 1991, с. 3-25.
3. Ваишков В.И. Антимикробные средства и методы дезинфекции. М., 1977, 295 с.
4. Гудзь О.В. Тенденции развития дезинфектологии в Украине. Провизор, 1998, №12, с. 43-46.
5. Дезсредства. Справочник под ред. Монисова А.А. и Шандалы М.Г., ТОО Пароль, М., 1996.
6. Волков Ю.П. Перспективы развития исследований в области разработки дезинфицирующих средств. Материалы научной конференции «Актуальные проблемы дезинфекции, стерилизации, дезинсекции и дератизации». М., 1992, с. 13-14.

7. *Babb J.* Methods of cleaning and disinfection. *Zentr Sterilization*, № 4, 1993, 227-37.
8. *Favero N.S., Bond W.W.* Sterilization, disinfection, and antisepsis in the hospital. In: Balows a., Hausier W.J., Herrmann K.L., et al. editors. *Manual of Clinical Microbiology*, 5th ed. Washington, DC: American Society for Microbiology, 1991, p. 183-200.
9. *Turner F.J.* Hydrogen peroxide and other oxidant disinfectants. In: Block S.S., editor. *Disinfection, sterilization and preservation*. 3rd ed. Philadelphia: Lea & Febiger; 1983, p. 240-50.
10. *Ефимов К.М., Гембицкий П.А., Снежко А.Г.* Полигуанидины – класс малотоксичных дезсредств пролонгированного действия. *Дезинфекционное дело*, № 4, 2000, с. 48-55.
11. Экологически безопасные полимерные биоциды. Сб. статей ИЭТП, М., 2000.
12. *Zaidi M., Wenzel R.P.* Disinfection, sterilization, and control of Hospital waste. In: Mandell G.L., Bennett J.E., Dolin R., editors. *Principles and practice of infectious diseases*. 5th ed. Philadelphia: Churchill Livingstone; 2000, p. 2995-3005.
13. *Dychdala G.R.* Chlorine and chlorine compounds. In: Block S.S., editor. *Disinfection, sterilization and preservation*. 3rd ed. Philadelphia: Lea & Febiger; 1983, p. 157-82.
14. *Larson E.L.* Alcohols. In: Block S.S., editor. *Disinfection, sterilization and preservation*. Philadelphia: Lea & Febiger; 1991, p. 191-203.
15. *Merianos J.J.* Quaternary ammonium antimicrobial compounds. In: Block S.S., editor. *Disinfection, sterilization and preservation*. Philadelphia: Lea & Febiger; 1991, p. 225-55.
16. *В.Н.Шерасимов, Е.А.Голов, И.В.Бабич с соавт.* Исследование механизма действия нового класса перекисных дезинфектантов – пероксидгидратов. *Дезинфекционное дело*. № 1, 1999, с. 14 – 18.
17. *Л.К.Брусова, В.И.Семилет, А.С.Соколов, Е.В.Москаленко с соавт.* Опыт применения современных дезинфектантов в лечебно-профилактических учреждениях г. Ростова-на-Дону. *Дезинфекционное дело*, № 1, 2003, с. 46 – 47.
18. *В.М.Бахир, В.И.Вторенко, Б.И.Леонов, С.А.Паничева, В.И.Прилуцкий.* Эффективность и безопасность химических средств для дезинфекции, предстерилизационной очистки и стерилизации. *Дезинфекционное дело*, №1, 2003, с. 29-36.
19. *Перова М.Д., Петросян Э.А., Банченко Г.В.* Гипохлорит натрия и его использование в стоматологии. *Стоматология*, № 2, 1989, с. 84 - 87.
20. *Г.И.Рачитский, В.П.Чуев, Р.Х.Камалов, С.М.Сметаняк, Л.А.Колченко.* Гипохлорит натрия: широкие возможности в стоматологии. *Стоматология*, № 6, 2001, с. 67-90.
21. *Бахир В.М., Задорожний Ю.Г., Леонов Б.И., Паничева С.А., Прилуцкий В.И.* Электрохимическая активация: очистка воды и получение полезных растворов. - М.: ВНИИИМТ, 2001, 176 с.
22. *John H. Haines, Stuart A. Kohler.* An evaluation of ortho-phenyl phenol as a fungicidal fumigant for archives and libraries. *J. Amer. Inst. Conserv.*, v. 25, , № 1, 1986, p. 49-55.
23. *Hanna Szczepanowska, Charles M. Lovett .* A study of the removal and prevention of fungal stains on paper. *J. Amer. Inst. Conserv.*, v. 31, № 2, 1992, p.147-160.
24. *Григорьев А.Б., Раса Р.* Сравнительная оценка высоко и низкоконтрированного гипохлорита натрия для дезинфекции питьевых вод. *Водоснабжение и санитарная техника*, № 10, 2006, с. 42-46.
25. *Бахир В.М.* Дезинфекция питьевой воды: проблемы и решения. *Питьевая вода*, №1, 2003, с. 13 - 20.
26. Практическое руководство по применению средств дезинфекции и стерилизации в лечебно-профилактических учреждениях. Под ред. А.В.Авчинникова. Смоленск: СГМА, 2002, 200 с.
27. *Л.А.Пономаева, Е.П.Селькова, Г.А.Гвелесиани, Е.В.Юркова, К.Г.Толстов.* Пособие по применению средств дезинфекции и стерилизации в лечебно-профилактических учреждениях и организации режимов дезинфекции и стерилизации в отделениях эндоскопии и стоматологии. – М: ТОО “ФАРТ”, 1998, 96 с.
28. *Bond W.W., Ott B.J., Franke K., McGracken J.E.* Effective use of liquid chemical germicides on medical devices; instrument design problems. In: Block SS, ed. *Disinfection, sterilization and preservation*. 4 th ed. Philadelphia, PA: Lea & Gebiger, 1991, 1100 p.
29. APIC Guideline for selection and use of desinfectants. *American Journal of Infection Control*, vol.24, №4, 1996, p. 313-342.
30. *Spaulding E.H.* Chemical disinfection of medical and surgical materials. In: Lawrence C, Block SS, ed. *Disinfection, sterilization and preservation*. Philadelphia: Lea & Febiger, 1968, p. 517-531.
31. Who guidelines on hand hygiene in health care (advanced draft). *Global patient safety challenge 2005-2006: “Clean care is safer care”*. April 2006.
32. *McDonnel G., Russel A.D.* Antiseptics and disinfectants: activity, action, and resistance. *Clinical microbiology reviers*, Jan. 1999, p. 147-179.

33. *Reybrouck G.* Evaluation of antibacterial and antifungal activity of disinfectants. In: Russell A.D, Hugo W.B., Auliffe GAJ (eds.). Principles and practice of disinfection, preservation and sterilization. 3 rd ed., Blackwell, Oxford, 1999, p. 124-144.
34. *Дудницкий И.А.* Контроль качества дезинфекции. Ветеринария, №9, 1991, с. 21-25.
35. *Белова В.И., Арефьева Л.И., Лиманова В.Е. и др.* Основные направления исследований в области создания дезинфицирующих препаратов. Актуальные вопросы совершенствования дезинфекционных и стерилизационных мероприятий. Ч.2., М., 1990, с. 137-141.
36. *Бутко М.П., Тиганов В.С., Фролов В.С. и др.* Экобицид М для дезинфекции объектов ветнадзора и профилактики инфекционных болезней животных. Ветеринария, №2, 2009, с. 33-36.
37. *Dancer S.J.* How do we assess hospital cleaning? A proposal for microbiological standards for surface hygiene in hospitals. Journal of Hospital Infection, **56**, 2004, p. 10-15.
38. *Scott E.M., Gorman S.P.* Glutaraldehyde. In: Block SS, ed. Disinfection, sterilization and preservation. 5 th ed. Lippincott Williams and Wilkins, New York, 2001, p. 361-381.
39. *Рутала В.А.* Дезинфекция, стерилизация и удаление отходов. В: Венцел Р.П.б ред. Внутрибольничные инфекции. Медицина. М., 1990, с. 159-211.
40. *Дульнева Л.В., Лазеба В.А., Смирнов А.В., Суглобова Е.Д.* Современная практика дезинфекции аппарата “искусственная почка”. Нефрология, т.9, №3, с. 73-79.
41. *Glass B.* Exposure to Glutaraldehyde Alone or in a Fume Mix: a Review of 26 cases. Journal of the NZMRT, v.40, № 2, June, 1997, p. 13-17.
42. *Richards J.* Withdrawal of Disinfectant Hit by Safety Fears. BBC News on Line: Health. January22, 2002.
43. *Арчаков А.И.* Микросомальное окисление. М., Наука, 1975, 327 с.
44. *Лопаткин Н.А., Лопухин Ю.М.* Эфферентные методы в медицине (теоретические и экспериментальные аспекты экстракорпоральных методов лечения). М., Медицина, 1989, 352 с.
45. *Арчаков А.И., Карузина И.И.* Окисление чужеродных соединений и проблемы токсикологии. Вестник АМН СССР, № 1, 1988, с. 14-28.
46. *Small D.A., Chang W., Toghrol F., Bentley W.E.* Toxicogenomic analysis of sodium hypochlorite antimicrobial mechanisms in *Pseudomonas aeruginosa*. Appl. Microbiol. Biotechnol., **74**, 2007, p. 176-185.
47. *Small D.A., Chang W., Toghrol F., Bentley W.E.* Comparative global transcription analysis of sodium hypochlorite, peracetic acid, and hydrogen peroxide on *Pseudomonas aeruginosa*. Appl. Microbiol. Biotechnol., **76**, 2007, p. 1093-1105.
48. *Бахир В.М., Леонов Б.И., Паничева С.А. и др.* Химический состав и функциональные свойства хлорсодержащих дезинфицирующих растворов. Вестник новых медицинских технологий, № 4, 2003, с. 55-63.
49. *Краснобородько И.Г.* Деструктивная очистка сточных вод от красителей. Л., Химия, 1988, 193 с.
50. *Бахир В.М., Вторенко В.И., Прилуцкий В.И., Шомовская Н.Ю.* Экологические предпосылки применения в лечебно-профилактических учреждениях электрохимических установок “СТЭЛ” для синтеза моющих, дезинфицирующих и стерилизующих растворов. Медицинский алфавит, № 11, 2003, с. 24-25; Медицинский алфавит, № 1, 2004, с. 25-27.
51. *Церетели Б.С., Чимакадзе Г.А., Кураташвили З.А., Катамадзе Т.М.* Изучение биоцидной активности некоторых композиционных препаратов. Известия национальной академии наук Грузии, серия химическая, т. 35, № 1, с. 99-101.
52. *Chang W., Small D.A., Toghrol L., Bentley W.E.* Microarray analysis of *Pseudomonas aeruginosa* reveals induction of pyocin genes in response to hydrogen peroxide. BMC Genomics, 2005, **6**, p. 115-121.
53. *Chang W., Small D.A., Toghrol L., Bentley W.E.* Microarray analysis of toxicogenomic effects of peracetic acid on *Pseudomonas aeruginosa*. Environmental science & technology, **39**, 2005, p. 5893-5899.
54. *Chang W., Small D.A., Toghrol L., Bentley W.E.* Global transcriptome analysis of *Staphylococcus aureus* response to hydrogen peroxide. Journal of bacteriology, **188**, 2006, p. 1648-1659.
55. *Chang W., Toghrol L., Bentley W.E.* Toxicogenomic response of *Staphylococcus aureus* to peracetic acid. Environmental science & technology, **40**, 2006, p. 5124-5131.
56. *Белова В.И., Волков Ю.П.* Основные направления исследований в разработке дезинфицирующих средств. Научные основы дезинфекции и стерилизации. М., 1991, с. 13-18.
57. *Пудова О.Б., Никольская В.П., Буянова В.В., Титова К.В.* Количественная оценка спорцидной активности различных модификаций пероксигидратов фторида калия, перекиси водорода, надуксусной кислоты. Дезинфекционное дело, № 3, 1999, с. 19-22.
58. *Pavlova J. B., Kulikocskij A.V.* Submicroscopic study of bacteria and spores under the effect of peracetic acid and some aspects of the mechanism of action of the preparation. Zh. Mikrobiol. (Mosk). № 1, 1978, p. 37-41.

59. *Merkf V., Sokol D.* Zum Wirkungsmechanismus der Peressigsäure, Perameisensäure und Perpropionsäure. *Z. ges. Hyg.*, **18**, 1972, p. 638-641.
60. *Malchesky P.S.* Medical Application of peracetic acid. In: Block SS, ed. *Disinfection, sterilization and preservation*. 5 th ed. Lippincott Williams and Wilkins, New York, **49**, 2001, p. 979-995.
61. *Flemming H.C.* Die Peressigsäure als Desinfektionsmittel. Ein Überblick. *Zbl. Bakt. Hyg., I ABT. Orig. B.* 1984, Bd. 179, № 2, p. 97-111.
62. *Антоновский В.Л.* Органические перекисные инициаторы. М., 1972, с. 341-361.
63. *Мищенко В.Н., Осипов В.В., Прокопенко С.Л., Серенко Е.Г.* Физико-химические методы сохранения и обработки архивных документов [Электронный ресурс] Национальная библиотека Украины имени В.И. Вернадского: пробл. функционирования, тенденции развития. Вып. 3, 2005. Режим доступа: www.nbu.gov.ua.
64. *Horvath M., Bilitzky L., Huttner J.* OZONE. *Akademiai Kiado, Budapest*, 1985, p. 69-79.
65. *Min Cho, Hyenmi Chung, Jeyong. Yoon.* Effect of pH and Importance of Ozone initiated Radical Reactions In Inactivating Bacillus subtilis Spore. *Ozone: Sci. & Engrg.*, v. 24, № 2, 2002, p. 145-150.
66. *Rip G. Rice, J. Fred Wilkes.* Fundamental aspects of ozone chemistry in recirculating cooling water systems. *Corrosion, The NACE Ann. Conf., Cincinnati, Ohio, March 11-15, 1991, paper 205*, p. 1-43.
67. *Legrini, E. Oliveros, A. M. Braun.* Photochemical Processes for Water Treatment. *Chem. Rev.*, v. **93**, 1993, p. 671-698.
68. *Khadre, M.A., Yousef A.E.* Sporocidal action of ozone and hydrogen peroxide, a comparative study. *Intl. J. Food Microbiol.*, № 71, 2001, p. 131-138.
69. *Murrell, W. G.* The biochemistry of sporulation // In: Rose, A. R., Wilkinson, J. K.(Eds.) *Advances in microbial physiology* Academic Press, Inc., New York, v. 1, 1967, p. 133-262.
70. *Aronson, A. I.; D. Horn.* Characteristics of the spore coat proteins of Bacillus cereus T. In: H. O. Halvorson; R. Hanson; L. L. Campbell, (Eds.), *Spore V. Am. Soc. Microbiol, Washington, DC.* 1972, p. 19-27.
71. *Bayliss, C. E., Waites W.M.* The effect of hydrogen peroxide on spores of Clostridium bifermentans. *J. Gen. Microbiol.*, v. 96, 1976, p. 401-407.
72. *Naitoh S.* Studies on the application of ozone in food preservation: effect of metallozeolites and ascorbic acid on the inactivation of Bacillus subtilis spores with gaseous ozone. *J. Antibact. Antifung. Agents.* № 20, 1992, p. 629-632.
73. *Ishizaki K., N. Shinriki, H. Matsuyama.* Inactivation of Bacillus spores by gaseous ozone *J. Appl. Bacteriology*, № 60, 1986, p. 67-72.
74. *Currier, R. P., D. J. Torracco, J.B. Cross, G.L. Wagner, P.O. Gladden, L.A. Vanderberg.* Deactivation of clumped and dirty spores of Bacillus globigii. *Ozone: Sci. & Engrg.*, v. 23, № 4, 2001, p. 285-294.
75. *Hoigne J, Bader H.* Rate constants of reactions of ozone with organic and inorganic compounds in water. II Dissociating organic compounds. *Water Res.* № 17, 1983, p. 185-194.

MECHANISMS OF ACTION CHEMICAL DISINFECTANTS

G.G.Chimakadze *, Z.A.Kuratashvili , I.G.Abdushelishvili , V.S.Tsereteli

* *Gr.Robakidze University*

The Georgian State Agrarian University

SUMMARY

Mechanisms of action of the chemical compounds characterised by doubtless spore activity are considered. For creation of new effective disinfectants it is possible to consider as correct direction application of compositions from several actively operating substances that will promote their achievement maximum synergism and to exception of resistance of microorganisms.

МЕХАНИЗМЫ ДЕЙСТВИЯ ХИМИЧЕСКИХ ДЕЗИНФЕКТАНТОВ

Г.Г.Чимакадзе*, З.А.Кураташвили, И.Г.Абдушелишвили, В.С.Церетели

**Университет им. Гр.Робакидзе*

Грузинский государственный аграрный университет

РЕЗЮМЕ

Рассмотрены механизмы действия химических соединений, характеризующихся несомненной спороцидной активностью. Правильным направлением для создания новых эффективных дезинфицирующих средств можно считать применение композиций из нескольких активно действующих веществ, что будет способствовать достижению их максимального синергизма и исключению резистентности микроорганизмов.

ბიოეთანოლის წარმოება ცელულოზაზემცველი მასალებიდან

ლეილა ტატიაშვილი, თეიმურაზ უჩანეიშვილი, ნანა წეროძე, ირმა მიქაძე, ავთანდილ დოლიძე

სსიპ პეტრე მელიქიშვილის ფიზიკური და ორგანული ქიმიის ინსტიტუტი

თანამედროვე მსოფლიოში ენერგორესურსების მოძიებისას მნიშვნელოვანი ყურადღება ეთმობა ბიოეთანოლის წარმოებას ცელულოზური ნედლეულიდან. ეთანოლის წვისას შიდაწვის ძრავებში 10-ჯერ ნაკლები ნახშირორჟანგი გამოიყოფა, ვიდრე ტრადიციული ბენზინის წვისას, რაც წარმოადგენს გლობალური დათბობის ერთერთ მიზეზს.

გარემოს ნახშირორჟანგით დაბინძურების შემცირების მიზნით ამერიკაში, შვედეთსა და ბრაზილიაში ბენზინს უმატებენ ეთანოლს, რომელიც იწარმოება ცელულოზაზემცველი განახლებადი ნედლეულიდან [1].

ნებისმიერი მცენარეული ნარჩენი შეიცავს ცელულოზასა და ლიგნინს. საკვები მცენარეული ნედლეულიდან ბიოსაწვავის წარმოების მიმართულებას გამოუჩნდა კრიტიკოსები, რომელთა მოსაზრებაც დაფუძნებული იყო იმაზე, რომ ეს ფაქტი გამოიწვევდა განვითარებადი ქვეყნებისათვის საკვები პროდუქტების რაოდენობის შემცირებასა და შესაბამისად მასზე ფასების მომატებას.

ეთანოლი წარმოადგენს მაღალექტანურ საწვავს. იგი მიიღება შაქრების ფერმენტაციის გზით, რომელსაც თავის მხრივ ლეულობენ შაქრის ლერწმისა და მარცვლოვან მცენარეთა სახამებლისაგან. მაგალითად, სიმინდის, ხორბლის და სხვა მარცვლეული პროდუქტებისაგან [2].

ამ პრობლემის გადაწყვეტის მიზნით მოსინჯულ იქნა ბიოეთანოლის მიღება არასასურსათო პროდუქტებიდან. კერძოდ, აღნიშნული პროცესისათვის იყენებდნენ ჩალის, ნამჯისა და სხვა ისეთი ნარჩენების მცენარეულ ბოჭკოებს, რომელთა სიმცირემ წარმოშვა პრობლემები საქონლის გამოკვების საკითხში [3].

აქედან გამომდინარე, სავარაუდოდ, ამჟამად ყველაზე რაციონალური არის ბიოსაწვავის წარმოება ხე-ტყის გადამუშავებისას მიღებული ნარჩენებისაგან - კერძოდ, ნახერხისაგან [4].

ეთანოლის წარმოების პროცესში შეიძლება გამოიყოს შემდეგი ტექნოლოგიური ეტაპები: 1. ნედლეულის დაქუცმაცება და ჰიდროლიზი [5, 6]; 2. მიღებული ნარევის ფერმენტული დუღილი; 3. დუღილის შედეგად მიღებული ხსნარიდან სპირტის გამოხდა.

ხის მერქანი ძირითადად შედგება ცელულოზისა და ლიგნინისაგან. როგორც აღვნიშნეთ, ბიოეთანოლის წარმოების მიზნით საჭიროა ამ ბიოპოლიმერების ჰიდროლიზი.

პრაქტიკაში ცელულოზის ჰიდროლიზი მონოსაქარიდებამდე ხორციელდება ორი გზით: ქიმიური და ფერმენტული.

მჟავური ჰიდროლიზი უფრო სრულად მიმდინარეობს, ვიდრე ფერმენტული, ვინაიდან მჟავის მოლეკულა მცირე ზომის გამო უფრო ადვილად აღწევს ცელულოზის კრისტალურ სტრუქტურაში და იწვევს მის დაშლას უფრო მაღალი ხარისხით. ამასთან, განზავებული მჟავის შემთხვევაში არ არის საჭირო ნედლეულის წინასწარი დამუშავება და შესაძლებელია მჟავის აღდგენა პროცესის დამთავრების შემდეგ. მიუხედავად ამ უპირატესობებისა, მთელი რიგი ავტორები მიუთითებენ მჟავური ჰიდროლიზის რიგ ნაკლოვანებებზე. კერძოდ, პროცესი საკმაოდ ძვირია. გარდა ამისა მჟავური ჰიდროლიზის დროს წარმოიქმნება არასასურველი პროდუქტები - ფურფუროლი, ორგანული მჟავები და სხვ.

ცელულოზის ფერმენტული გარდაქმნა ხორციელდება მიკროორგანიზმების (ბაქტერიების, სოკოების, აქტინომიცეტების) შტამებით, რომელთაც ცელულაზების სინთეზის უნარი შესწევთ.

მოლეკულური აგებულების მიხედვით ცელულოზა წარმოადგენს წრფივ პოლიმერს, რომლის ანჰიდროგლუკოზური რგოლები დაკავშირებულია β -1,4-D-გლუკოზიდური კავშირებით. ცელულოზის პოლიმერიზაციის ხარისხმა შესაძლოა შეადგინოს 10 ათასი, ხოლო მოლეკულურმა მასამ - 1.5 მლნ-ზე მეტი. ერთი ანჰიდროგლუკოზური რგოლის სიგრძე ტოლია 5.15 \AA [7, 8].

ცელულოზის მაკრომეკულის კონფიგურაცია იძლევა შიდა- და მოლეკულათშორისი კავშირების რეალიზაციის შესაძლებლობას. თეორიული შეხედულებები ცელულოზის სტრუქტურის ამორფულ-კრისტალური მდგომარეობის შესახებ დაფუძნებულია ელექტრონოგრაფიულ, რენტგენოგრაფიულ და სხვა სახის გამოკვლევებზე [9-11].

ისევე, როგორც ყველა წრფივ ჰიდროფილურ პოლიმერს, ცელულოზას გააჩნია პირველადი ფიბრილების წარმოქმნის უნარი, რომელშიც მაკრომოლეკულათა ჯაჭვის პარალელურად განლაგებული ჯგუფები ერთმანეთთან დაკავშირებულია მრავალი წყალბადური ბმით [12, 13].

ცელულოზის ქიმიური გარდაქმნები მიმდინარეობს ჰეტეროგენულ და ჰომოგენურ სისტემებში. ჰომოგენურ რეაქციებში (მაგ. ჰიდროლიზი კონცენტრირებულ მჟავებში, ჟანგვა სპილენძ-ამიაკის ხსნარში და სხვ.) ცელულოზა ჯერ იხსნება, ხოლო შემდეგ შედის რეაქციაში. შესაძლოა ცელულოზის რეაქციები დაიწყოს ჰეტეროგენურ არეში და დასრულდეს ჰომოგენურში (მაგ. ცელულოზის აცეტილირება), თუმცა უმეტესად ცელულოზის ურთიერთქმედების რეაქციები, მათ შორის ფერმენტული ჰიდროლიზი, თავიდან ბოლომდე მიმდინარეობს ჰეტეროგენურ არეში.

აღნიშნული რეაქციის მიმდინარეობის სიჩქარეზე გავლენას ახდენს რამოდენიმე ფაქტორი: ცელულოზის ნაწილაკთა ზომა, პოლიმერიზაციის ხარისხი და ფარდობითი ზედაპირი. ეს უკანასკნელი ყველაზე მნიშვნელოვანია, რადგან სუბსტრატის ზედაპირზე აღსორბირება წარმოადგენს აუცილებელ და პირველ ეტაპს ფერმენტული გარდაქმნების განხორციელებაში [14, 15].

ცელულოზის ფერმენტული დესტრუქცია, როგორც წესი მიმდინარეობს არა ცალკეული ფერმენტების, არამედ პოლიფერმენტული კომპლექსების მოქმედებით. ამ სისტემაში შემავალ ფერმენტებს ენიჭებათ განსაზღვრული ფუნქციები. ერთ-ერთი მათგანი ახდენს მონოსაქარიდულ ნარჩენებს შორის შიდაგლიკოზიდური ბმების ეფექტურ ჰიდროლიზს (მათ უწოდებენ ენდოდეპოლიმერაზებს, ენდოგლუკანაზებსა და ენდოფერმენტებს). ზოგიერთი კი უპირატესად შლის პოლისაქარიდული მოლეკულის დაბოლოებაზე არსებულ გარეგლიკოზიდურ ბმებს (ეგ ზოდეპოლიმერაზები, ეგ ზოგლუკანაზები და ეგ ზოფერმენტები). გლუკოზიდაზები ახორციელებენ დი- და ოლიგოსაქარიდების გლიკოზიდურ ბმათა ჰიდროლიზს [16].

ცელულოზის ჰიდროლიზი მიმდინარეობს ცელულაზური პოლიფერმენტული სისტემების მეშვეობით. ცელულაზური კომპლექსი შედგება ოთხი ტიპის ფერმენტისაგან: ენდო-1,4- β -გლუკანაზები, ეგ ზო-1,4- β -გლუკანაზები, ეგ ზო-1,4- β -გლუკოზიდაზები და ცელობიაზები [17, 18].

ცელულოლიტური ფერმენტები მიეკუთვნებიან კარბოჰიდრაზულ კლასს. ისინი ახდენენ ო-გლიკოზიდური ბმის ჰიდროლიზის კატალიზს და წარმოადგენენ ბუნებაში ერთ-ერთ ყველაზე გავრცელებულ ფერმენტებს [19, 20].

პოლიფერმენტულ სისტემებში მნიშვნელოვანი როლი ენიჭებათ ენდოგლუკანაზებს, რადგან ისინი პირველები მოქმედებენ ცელულოზაზე. ენდოგლუკანაზებით გლიკოზიდური ბმების ჰიდროლიზი მიმდინარეობს ამ უკანასკნელთა გაწყვეტითა და კონფიგურაციის შენარჩუნებით, რასაც შესაძლოა თან ახლდეს ტრანსგლიკოზილირება [17, 19, 21].

ენდოგლუკანაზის, ისევე როგორც სხვა კარბოჰიდრაზების, დამახასიათებელ თვისებებს წარმოადგენს სპეციფიკური მიდგომა გლიკოზიდური ბმის კონფიგურაციისადმი და მონოსაქარიდის ნარჩენის ჟანგვითი ციკლის ხარისხისადმი. უნდა აღინიშნოს, რომ შესაძლებელია 1,3- და 1,6-გლიკოზიდური ბმების დაწყვეტა. [17, 21].

ცელულოზისა და ცელოლოგოსაქარიდების ჰიდროლიზის პროცესში ცელობიო-ჰიდროლაზები შლიან ცელობიოზასა (ძირითად პროდუქტს) და გლუკოზას (მეორად პროდუქტს). ცელობიოჰიდროლაზებს არ ძალუძთ ხსნადი კარბოქსიმეთილცელულოზას ჰიდროლიზირება [21]. გლუკოზიდური ბმის ჰიდროლიზი მიმდინარეობს ცელულოზის ბოლოს ან მისი ფრაგმენტის კონფიგურაციის შემობრუნებით. ცელობიოჰიდროლაზები წარმოადგენენ ̢-1,4-გლუკოზიდური ბმის სპეციფიკურ ფერმენტებს [19, 21].

ეგზოგლუკოზიდაზები ცელობიოჰიდროლაზისაგან გამოირჩევა იმით, რომ პოლი- ან ოლიგოსაქარიდების სუბსტრატებზე მათი მოქმედების ძირითად პროდუქტს წარმოადგენენ არა დი-, არამედ მონოსაქარიდები. ამჟამად ეგზოგლუკოზიდაზები ცელულოლიტური ფერმენტებიდან ყველაზე ნაკლებად შესწავლილ ცელულაზურ კომპლექსად რჩება [17].

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ცელულოზის ღრმა ჰიდროლიზი ხორციელდება ცელულაზურ პოლიფერმენტთა სისტემის შეთანხმებული მოქმედების შედეგად.

ყოველივე ამის გათვალისწინებით, მიზანშეწონილია ჩატარდეს კვლევითი სამუშაოები განახლებადი ცელულოზაშემცველი ნედლეულის ფერმენტული დეპოლიმერიზაციის მეთოდით ბიოეთანოლის მისაღებად. ასევე შემუშავდეს მჟავური და ფერმენტული ჰიდროლიზის ოპტიმიზაციის პირობები. ჩატარდება ამ პროცესების დამაჩქარებელი და ხელშემწყობი ნივთიერებების ძიება და შეფასება.

ლიტერატურა - REFERENCES – ЛИТЕРАТУРА

1. *Weng Jing-Ke., Li Xu., Bonawitz Nicholas., Chapple Clint.* Emerging strategies of lignin engineering and degradation for cellulosic biofuel production. *Current Opinion in Biotechnology.* 2008, Vol. 19 Issue 2, p166-172;
2. *Tad W., Patzek ., A.* First-Law Thermodynamic Analysis of the Corn-Ethanol Cycle. *Natural Resources Research.* 2006, Vol. 15, p. 255-270;
3. *Saha B.C., Dien B Qureshi N., Hector R.E., Cotta M.A.* Production of butanol (a biofuel) from agricultural residues: Use of barley straw hydrolysate . *Biomass and Bioenergy,* 2010, 34 (4), p.559-565;
4. *Kleinert M., Barth T.* Towards a Lignin-cellulosic Biorefinery: Direct One-Step Conversion of Lignin to Hydrogen-Enriched Biofuel. . *Energy and Fuels* 2008, Vol. 22, p. 1371–1379;
5. *Kelsey R.G., Shafizadeh F.* Enhancement of cellulose accessibility and enzymatic hydrolysis by simultaneous wet milling. *Biotechnology and Bioengineering.* 1977. Vol. 22. P. 1025-1036;
6. *Neilson N.G., Kelsey R.G., Shafizadeh F.* Enhancement of enzymatic hydrolysis by simultaneous attrition of cellulosic substrates. *Biotechnology and Bioengineering.* 1982. Vol. 24. P. 293-304;
7. *Роговин З.А.* Химия целлюлозы. М., 1972. 519 с.;
8. *Елинов И.П.* Химия микробных полисахаридов. М., 1984. 162 с.;
9. *Гlegg P.E., Танг Л.Дж. Бруэр Р.Дж.* Фракционирование целлюлозы. Целлюлоза и её производные, М., 1974. Т. 1. с. 382-412;
10. *Никитин В. М., Оболенская А.Б., Шеголаев В.П.* Химия древесины и целлюлозы. М., 1978., 363 с.;
11. *Трипп В.У.* Определение кристалличности целлюлозы. Целлюлоза и её производные, М., 1974. Т. 1. с. 214-235;
12. *Сихтола Х., Макконен Х.* Целлюлоза. Химия древесины, М., 1982. с. 96-129;
13. *Элlefсен Е., Теннесен Б.* Полиморфные модификации целлюлозы. Целлюлоза и её производные, М., 1974. т. 1. с. 154-182;
14. *Клесов А.А., Рабинович М.Л.* Ферментативный гидролиз целлюлозы. Инженерная энзимология и биоорганический катализ. М. 1978. Т. 12. с. 39-91;

15. *Ruang A.A.* Kinetic studies on insoluble cellulose-cellulase systems. *Biotechnology and Bioengineering*. 1975, v. 17, p. 1421-1433;
16. *Клесов А.А.* Ферментативный катализ. М., 1984. Т. 2. 216 с.;
17. *Клесов А.А.* Ферментативное превращение целлюлозы. *Итоги науки и техники. Сер. Биотехнол.* М., 1983. Т. 1. С. 63-150;
18. Номенклатура ферментов. Рекомендации международного биохимического союза. М., 1974. , 321 с.;
19. *Родинова Н.А.* Ферментативное расщепление целлюлозы. *Целлюлазы микроорганизмов.* М., 1981. с. 4-40;
20. *Klyosov A.A., Rabinowitch M.L.* Conversion of cellulose to glucose: present state of the art and potential. *Enzyme Engineering: Future Directions.* N.Y., 1980 , p. 83-166;
21. *Shikata S., Nisizawa K.* Purification and properties of an axocellulase component of novel type from *Trichoderma viride*. *J. Biochem.* 1975. v. 78, p. 499-512.

ПРОИЗВОДСТВО БИОЭТАНОЛА ИЗ ЦЕЛЛЮЛОЗОСОДЕРЖАЩИХ МАТЕРИАЛОВ

Л.Т.Татиашвили, Т.Г.Учанеишвили, Н.П.Церодзе, И.И.Микадзе, А.В.Долидзе
Институт физической и органической химии им. П.Г.Меликишвили

РЕЗЮМЕ

Получение биотоплива из возобновляемого непищевого сырья с использованием ферментативной биodeградации служит росту доли альтернативной энергии, что в свою очередь улучшает условия окружающей среды. Дистилляцией спирта из смеси получаемого в результате ферментативной деградации остатков переработки древесины - опилок и брожением, возможно разработать рациональный метод эффективного производства биоэтанола с учётом местных условий и возможностей. Для развития производства биоэтанола необходима оптимизация кислотного и ферментативного гидролиза и разработка новых подходов.

BIOETHANOL PRODUCTION FROM CELLULOSE CONTAINING MATERIALS

Leila Tatiashvili, Teimuraz Uchaneishvili, Nana Tserodze, Irma Mikadze, Avtandil Dolidze
LEPL Petre Melikishvili Institute of Physical and Organic Chemistry

SUMMARY

Biofuel reception from renewable unedible raw material using enzymatic biodegradation serves on the increase in the share of alternative energy, that improves environmental conditions. It is possible to work-out rational method of efficient biofuel production taking into consideration local conditions and opportunities due to alcohol distillation from the mixture received as a result enzymatic degradation of wood processing residues - sawdust and fermentation. Optimization of acid and enzymatic hydrolysis and planning new approaches are necessary for development bioethanol production.

ვაზის ფოთლების ნაადრევი პიგმენტაციის-სიწითლის საწინააღმდეგო ჰუმინური პრეპარატი

ომარ ლომთაძე, ლუდმილა ცხვედაძე*, ავთანდილ დოლიძე

სსიპ პეტრე მელიქიშვილის ფიზიკური და ორგანული ქიმიის ინსტიტუტი
*სსიპ საქართველოს მეზღვების, მევენახეობისა და მეღვინეობის ინსტიტუტი

მევენახეობას და მეღვინეობას, როგორც სოფლის მეურნეობის წამყვან დარგებს, ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია. სამწუხაროდ, ქვეყანაში ხარისხიანი მოსავლის წილი თანდათან მცირდება. ამ ნეგატიურ მოვლენას სხვა მრავალ მიზეზებთან ერთად განაპირობებს ვაზის მავნებლების და დაავადებების ინტენსიური გავრცელება. მათ წინააღმდეგ პესტიციდების უკონტროლო გამოყენებამ მნიშვნელოვნად შეცვალა ბიოგარემო. გამოყენებული პესტიციდების დიდი ნაწილი იკარგება გარემომცველ ბუნებაში და ხდება ჰაერის, წყლის, ნიადაგის დაბინძურება, ხოლო შხამ-ქიმიკატების ნაშთი და მათი მეტაბოლიტები მცენარეულ და ცხოველურ საკვებთან ერთად ხვდება ადამიანის ორგანიზმში. ასეთ ეკოლოგიურ გარემოში მატულობს ადამიანთა დაავადებები და უარესდება ჯანმრთელობა. უკანასკნელ წლებში გამკაცრებული ეკოლოგიური მოთხოვნების პირობებში დიდი ყურადღება ექცევა პესტიციდების ნარჩენი რაოდენობის შემცველობას ყურძენში, ღვინოში და საერთოდ, სურსათში. აღნიშნულიდან გამომდინარე ვენახის მავნებლებისა და დაავადებებისგან დასაცავად აქტუალურია ისეთი პრეპარატების გამოყენება, რომელიც დამზადებულია ბუნებრივი ნედლეულის საფუძველზე, ადგილობრივი რესურსების მაქსიმალური გამოყენებით.

უკანასკნელ წლებში მნიშვნელოვნად გაიზარდა ინტერესი ჰუმინური ნივთიერებისადმი, რაც გამოწვეულია მათ საფუძველზე მომზადებული მკვებავი პრეპარატებისა და მიკროსასუქების მაღალი ეფექტურობით, ასევე ეკოლოგიური უსაფრთხოებით. ჰუმინური პრეპარატების სისტემატიური გამოყენება აუმჯობესებს ნიადაგის სტრუქტურას, მის ბუნებრივ და იონგაცვლით თვისებებს, იწვევს ნიადაგის მიკროორგანიზმების გააქტიურებას. ამავე დროს მნიშვნელოვნად იზრდება მცენარის მდგრადობა სხვადასხვა დაავადებებისადმი, უმჯობესდება მკვებავი ნივთიერებების და აუცილებელი მიკროელემენტების ათვისება [1].

საქართველოში გამოყენებული მცენარეთა დაცვის საშუალებები, მათ შორის ჰუმინური პრეპარატები, მთლიანად იმპორტირებულია მაშინ როდესაც დროს საქართველოში გვაქვს ჰუმინური ნაერთების შემცველი ტორფის და მურა ნახშირის საბადოები, ასევე ბუნებრივი ნაერთების საფუძველზე მკვებავი მიკროელემენტების შემცველი ხელატური პრეპარატების მომზადების გამოცდილება [2].

საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტის (GNSF/ST08/8-516) სამუშაოების შესრულების ფარგლებში ვაზის ადაპტოგენური თვისებების გაუმჯობესების მიზნით ხდება მისი დამუშავება მიკროელემენტების (Fe, Mn, Mo, Co, Cu, Zn და B) კომპლექსური ფორმით შემცველი ჰუმინური პრეპარატით. პრეპარატი მზადდება ფოთის (მალთაყვა) ტორფიდან კაუსტიკური ან კალცინირებული სოდით ექსტრაგირებული ჰუმინების საფუძველზე. მომზადებული ფოთლოვანი შესხურების პრეპარატის გამოცდა ტარდება GWS-ის ვენახების (თელავის რაიონის სოფ. აკურა) საცდელი ნაკვეთში.

GWS-ის ვენახებში ისევე, როგორც კახეთის რეგიონის სხვა ვენახებში, სულ უფრო მეტი ინტენსივობით ფიქსირდება საფერავის ჯიშის ვაზის ფოთლების ნაადრევი პიგმენტაციის გავრცელება, რაც გამოიხატება ფოთლებზე წითელი ლაქების წარმოქმნით ან მათი მთლიანი გაწითლებით. ფოთლებზე წითელი ლაქების პირველი გამოჩენა ფიქსირდება მაისის მესამე დეკადაში. ვაზის ფოთლების პიგმენტაციის მატება განსაკუთრებით თვალსაჩინოა მწვანე ოპერაციის ე.წ. “ცის ვაზსნის” შემდეგ ნამხრევებზე გამოტანილ მოზარდ ფოთლებზე. ძირითადი დედა ფოთლების გაწითლება-გახვეების შემდეგ ნამხრევების ინტენსიურ ზრდასთან ერთად ხდება ნორჩი ფოთლების მასიური პიგმენტაცია. ასეთ ფოთლებზე, როგორც მავნებლისათვის საუკეთესო საკვებ სუბსტრატზე, მატულობს აბლაბუდიანი ტიპის დასახლება. დაკვირვებების შედეგად აღინიშნა ფოთლების გაწითლების ორი ფორმა: პირველ შემთხვევაში ღია მოწითალო-ჟოლოსფერი პიგმენტაცია იწყება ფოთლის კიდეებიდან, რომელიც

თანდათან იზრდება და იკავებს მთლიანად ფოთლის ფირფიტას, ძარღვების ჩათვლით; პიგმენტაციის მეორე ფორმაში ფერისცვალებას განიცდის ჯერ ძარღვთაშორისები, რომელიც ღებულობს მოწითალო-იასამნისფერს და თანდათან ვრცელდება მთელ ფოთოლზე, ძარღვები კი რჩება მწვანედ [3].

რამდენადაც საფერავის ჯიშის ვაზის ფოთლების ნაადრევი პიგმენტაცია – გაწითლება უარყოფითად მოქმედებს ყურძნის მოსავლის რაოდენობრივ და ხარისხობრივ მახასიათებლებზე, მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული ტორფის კომპლექსური გადაშენებით აღნიშნული დაავადების საწინააღმდეგო პრეპარატების მომზადება.

არსებული ლიტერატურული მონაცემების მიხედვით, ნაადრევი პიგმენტაცია გამოწვეულია ვაზის ფოთოლში ქლოროფილის სტრუქტურის დარღვევით და მის საწინააღმდეგოდ რეკომენდირებულია K^+ და Mg^{+2} შემცველი პრეპარატების გამოყენება. აღნიშნულთან ერთად მხედველობაში იქნა მიღებული ის გარემოება, რომ პეტრე მელიქიშვილის ფიზიკური და ორგანული ქიმიის ინსტიტუტში ვაზის ქლოროზის (რაც ასევე გამოწვეულია ქლოროფილის სტრუქტურის დარღვევით) საწინააღმდეგოდ შემუშავებული პრეპარატებიდან ყველაზე ეფექტური აღმოჩნდა Fe-Mn-ის ხელატური კომპლექსი. აღნიშნულიდან გამომდინარე, საჭიროდ ჩავთვალეთ ვაზის ფოთლების ნაადრევი პიგმენტაციის-სიწითლის საწინააღმდეგოდ მცენარისთვის მიგვეწოდებინა როგორც K^+ და Mg^{+2} კათიონი (ქლოროფილის სტრუქტურის ძირითადი ელემენტების დანაკლისის აღდგენის მიზნით), ასევე Fe^{+2} და Mn^{+2} კათიონები, როგორც ქლოროფილის სინთეზში მონაწილე ფერმენტების აუცილებელი შემადგენელი ელემენტები [3].

Fe^{+2} და Mn^{+2} კათიონების ვაზისთვის მიწოდება ხორციელდება ე-ნ-ის შემცველი ჰუმინური პრეპარატის ფოთლოვანი შესხურებით. განსხვავებით ადრე მომზადებული ხელატური პრეპარატებისგან, როდესაც ტარდებოდა ტორფის წინასწარი ჰიდროლიზი კონცენტრირებული მჟავის გამოყენებით, ხოლო შემდგომ კაუსტიკური სოდის ხსნარით ექსტრაგირებული გუმინური ნაერთების Fe-Mn-ის კომპლექსის მიღება, ჩვენ შემთხვევაში მერქანისმაგვარი ჩანარებისგან გასუფთავებული, გამშრალი და დაფქვილი ტორფი მუშავდება კალიუმის ჰიდროქსიდის ხსნარით, რაც განაპირობებს K^+ კათიონის შემცველობას პრეპარატში. 24 საათიანი დაყოვნების შემდეგ ტორფიდან კალიუმის ჰიდროქსიდით ექსტრაგირებული ჰუმინური ნაერთების საფუძველზე მზადდება Fe-Mn-ის შემცველი ჰუმინური პრეპარატი. ვაზისთვის Mg^{+2} -ის კათიონის მიწოდება ხორციელდება გრანულირებული პრეპარატის საშუალებით, რომლის მიღება ხდება ტორფიდან ჰუმინების ექსტრაქციის შემდეგ დარჩენილ ნალექზე მაგნიუმის სულფატის (კიზერიტი) და დოლომიტის ფქვილის გათვლილი რაოდენობის დამატებით მიღებული ცომისებური მასის დამუშავებით (სპეციალურ თვალაკში გატარება, გრანულებად დაჭრა და გაშრობა). მიღებული გრანულირებული პრეპარატი გამოიყენება ვაზის ფესვთა სისტემაში შესატანად.

ფოთლების ნაადრევი პიგმენტაციიანი ვაზების ერთი ნაწილი დამუშავდა Mg^{+2} -ით გამდიდრებული Fe-Mn-ის ჰუმინური კომპლექსის შესხურებით, მეორე ნაწილზე Fe-Mn-ის გუმინური კომპლექსის შესხურებასთან ერთად ფესვთა სისტემაში შეტანილ იქნა გრანულირებული პრეპარატი. ჩატარებულმა ცდებმა აჩვენა, რომ გრანულირებული პრეპარატის გამოყენების შემთხვევაში ფოთლების სიმწვანის აღდგენის ხარისხი უფრო მაღალია. სავარაუდოდ, შესხურებისას ფოთლებიდან არ ხდება Mg-ის საკმარისი რაოდენობით შეღწევა, გრანულირებული პრეპარატიდან კი მცენარე ღებულობს Mg-ის საჭირო რაოდენობას ადვილადსათვისებელი ჰუმინური კომპლექსის ფორმით.

გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ Fe-Mn-ის შემცველი ჰუმინური პრეპარატის მომზადების შემდეგ დარჩენილი ნალექის საფუძველზე გრანულირებული მკვებავი პრეპარატის მომზადება უზრუნველყოფს ტორფის კომპლექსურ, უდანაკარგო გადაშენებას.

ჩატარებული ცდების საფუძველზე მიზანშეწონილად მიგვაჩნია გამოზამთრებული და შესაბამისად დასუსტებული ვაზის ფესვთა სისტემაში მკვებავი ელემენტების შემცველი გრანულირებული პრეპარატის შეტანა, რაც გააძლიერებს მცენარის იმუნიტეტს და შესაბამისად სხვადასხვა დაავადებებისადმი მდგრადობას.

ლიტერატურა – REFERENCES – ЛИТЕРАТУРА

1. Безуглова О.С. Удобрения и стимуляторы роста. Ростов-на-Дону: Феникс, 2002. – 320 с.
2. Чихладзе Г.М., Шишнихвиლი М.Е. Способ получения сложного органо-минерального удобрения. Авторское свидетельство СССР №588219, кл. С 05F 11/02, 1978.
3. ლ. თარალაშვილი, ლ. ცხვედაძე, თ. დეკანოსიძე, დ. გაგუნაშვილი . ვენახებში ფოთლების ნაადრევი პიგმენტაციის გავრცელება კახეთის რეგიონში და მის წინააღმდეგ ასალი მოდიფიცირებულ

საშუალებათა გამოცდის შედეგები. საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის „მოამბე“ 2009, №25. გვ. 36-38.

4. Кабата-Пендиас З.А., Пендиас С. Микроэлементы в почвах и растениях. М.:Мир. 1989 г., 439 с.

ГУМИНОВЫЕ ПРЕПАРАТЫ ПРОТИВ ПРЕЖДЕВРЕМЕННОЙ ПИГМЕНТАЦИИ-КРАСНОТЫ ВИНОГРАДНЫХ ЛИСТЬЕВ

О.Г.Ломтадзе, Л.К.Цхведадзе*, А.В.Долидзе

Институт физической и органической химии им. Петре Меликишвили

**Грузинский институт садоводства виноградарства и виноделия*

РЕЗЮМЕ

Разработан метод комплексной переработки торфа, получением препаратов против преждевременной пигментации-красноты листьев винограда сорта «Саперави». Жидкие препараты получали из гуминовых соединений экстрагированных из торфа (месторождение Поти-Малтаква) гидроксидом калия, в котором дополнительно вносили катионы Fe и Mn. В оставшем после экстракции осадке, добавлением магнийсодержащих минералов кизерита и доломита получали питательное гранулированное удобрение обогащенные катионом Mg. Листьевое опрыскивание винограда Fe-Mn содержащим гуминовым препаратом с одновременным внесением в корневую систему гранулированного удобрения обеспечило значительное позеленение листьев опытных кустов винограда по сравнению с контрольным.

HUMIC PRERARATY AGAINST PREMATURE PIGMENTATION-REDNESS VINE LEAVES

Omar Lomtadze, Ludmila Tshvedadze,* Avtandil Dolidze

Peter Melikishvili Institute of Physical and Organic Chemistry.

**Georgia Institute of Horticulture, Viticulture and Oenology*

SUMMARY

Development a method for integrated treatment of peat for drugs against premature pigmentation - redness leaves grapes Saperavi. Liquid preparations obtained from humic compounds extracted from peat (deposit Poti-Maltakva), potassium hydroxide, which in addition have been made cations Fe and Mn. In the remaining after extraction of liquid humates precipitate, by adding magnesium minerals (dolomite, kieserite) were received magnesium nutritional granular fertilizer. Spraying the leaves of grape Fe-Mn containing humic preparations with simultaneous application of the root system of granular fertilizer provided significant greening leaves experienced vines compared to control.

РУЧНАЯ ЭЛЕКТРОДУГОВАЯ СВАРКА СТАЛЕЙ МАРОК ТИПА 12Х3СМФЮТ (ДИ-46) И 12Х4СМФЮТ (ДИ-47) ДЛЯ НЕФТЕГАЗОВОЙ ПРОМЫШЛЕННОСТИ

М.Г.Хуцишвили, Г.А.Даданидзе, А.К.Суламанидзе, Б.Р.Саралидзе
Грузинский технический университет

В качестве материала в нефтегазовой промышленности для изготовления труб и элементов стальной конструкции в основном применяются углеродистые стали, которые подвергаются сильной коррозии в связи с наличием в нефти и газоконденсате агрессивных компонентов, таких, как например сероводород. В институте металлургии и материаловедения Грузии разработаны конструкционные стали марок 12Х3СМФЮТ (ДИ-46) и 12Х4СМФЮТ (ДИ-47), которые обладают повышенной коррозионной стойкостью в средах умеренной агрессивности. Эти стали выплавлены на Украине Запорожском металлургическом заводе «Днепросталь».

Электродуговая сварка сталей 12Х3СМФЮТ (ДИ-46), 12Х4СМФЮТ (ДИ-47) существующими электродами не обеспечивает равноценности сварного шва с основным металлом с точки зрения коррозии.

Согласно опубликованным данным, стали приближенные по химическому составу к ДИ-46 и ДИ-47, свариваются с подогревом перед сваркой электродами основного типа. Температура подогрева свариваемых кромок перед сваркой должна составлять, как минимум 150⁰ С при толщине листов 10 мм., увеличиваясь с толщиной материала [1-4]. Сварка с предварительным подогревом и последующей термической обработкой, что по-видимому, является невозможным при изготовлении нефтепромысловых трубопроводов.

Особые трудности возникают, если сварные соединения нельзя подвергать термообработке, а также, если вместо требуемой закалки с последующим отпуском, приходится применять только отпуск. В таких случаях прибегают к ряду особых технологических приемов [5-8]. Низколегированные стали можно сваривать без термообработки [9].

При ручной электродуговой сварке плавящимся электродом сварка производится металлическим электродным стержнем, на поверхность которого путем опрессовки под давлением наносится специальное покрытие определенного состава и толщины [10].

В настоящее время большинство конструкций из среднелегированных сталей свариваются вручную. Для сварки сталей ДИ-46 и ДИ-47, подобраны электроды с учетом химического состава и механических свойств сталей. К главным особенностям сварки среднелегированных сталей следует отнести использование низководородистых электродов с фтористо-кальциевым покрытием, используется постоянный ток обратной полярности. Наиболее подходящими электродами для сварки этих сталей оказались электроды НИАТ-3М и УОНИ-13/55.

Использование существующих сварочно-присадочных материалов для сварки сталей ДИ-46 и ДИ-47 вышеуказанных электродами УОНИ-13/55 НИАТ-3М не является лучшим вариантом решения вопроса, т.е. если они удовлетворяют всем требованиям с точки зрения свариваемости, то не могут обеспечить равноценную коррозионную стойкость шва по сравнению с основным металлом. Наряду с этим вышеуказанные стали ДИ-46 и ДИ-47 разработаны для использования в нефтегазовой промышленности, характеризующейся меньшей агрессивностью.

В связи с этим возник вопрос о создании сварочно-присадочных материалов для сварки новых коррозионностойких сталей. По объему выполняемых работ ручная сварка покрытиями электродами занимает важное место как в отечественной, так и в зарубежной практике.

Ручная электродуговая сварка плавящимся электродом производится металлическим электродным стержнем, на поверхность которого путем окунания в жидкую массу или путем опрессовки под давлением наносится специальное электродное покрытие определенного состава и толщины. В настоящее время в сварочной технике применяют в основном электроды с руднокислым, фтористо-кальциевым (основным), рутиловым и органическим покрытием.

При изготовлении специальных электродов для сварки сталей ДИ-46 и ДИ-47 применялось специальное покрытие для электродов, а для стержня использовалась проволока из стали марки ДИ-47. Состав электродного покрытия дан в таблице 1.

Таблица 1. Электродное покрытие

| Компоненты | Состав вес, %-ах | | |
|--|------------------|----|----|
| | 1 | 2 | 3 |
| Плавиковый шпат | 35 | 37 | 39 |
| Карбонаты натрия | 2 | 3 | 4 |
| Кремнезем | 2 | 3 | 4 |
| Мрамор | 24 | 15 | 7 |
| Хром металлический | 1 | 2 | 3 |
| Марганец металлический | 1 | 2 | 3 |
| Кремнефтористый натрий | 5 | 6 | 7 |
| Фториды редкоземельных металлов (CaF ₃ , LaF ₃ , NdF ₃ , PrF ₃ , YF ₃) | 10 | 12 | 15 |

Химические составы сварных швов, выполненных электродами с предлагаемым электродным покрытием, и соответствующие свойства приведены в таблице 2.

Таблица 2. Химический состав и механические свойства сварных швов

| Состав вариантов | Химический состав сварного шва, % | | | | | | | | |
|------------------|-----------------------------------|------|-------|------|-------|-----------------------|-----------------------------------|------|-----------------------|
| | C | Mn | Si | Cr | Mo | V | Ti | Al | Ni |
| 1 | 0,09 | 0,56 | 0,69 | 3,5 | 0,3 | 0,082 | 0,4 | 0,18 | Следы |
| 2 | 0,09 | 0,56 | 0,69 | 3,5 | 0,3 | 0,082 | 0,4 | 0,18 | Следы |
| 3 | 0,1 | 0,6 | 0,69 | 4,2 | 0,3 | 0,082 | 0,4 | 0,18 | Следы |
| Состав вариантов | Химический состав сварного шва, % | | | | | Механические свойства | | | Твердость по Бринеллю |
| | W | Cu | ΣPЗМ | S | P | бв МПа | а _n МДж/м ² | α° | |
| 1 | 0,1 | 0,05 | 0,006 | 0,08 | 0,015 | 960 | 0,60 | 115 | 213 |
| 2 | 0,1 | 0,05 | 0,006 | 0,08 | 0,015 | 970 | 0,60 | 115 | 213 |
| 3 | 0,1 | 0,05 | 0,008 | 0,08 | 0,019 | 1000 | 0,70 | 115 | 218 |

Таблица 3. Режимы для ручной электродуговой сварки

| Диаметр электрода мм | Сила тока, α | | |
|----------------------|---------------|--------------|------------|
| | Положение шва | | |
| | Нижнее | Вертикальное | Потолочное |
| 3 | 90-130 | 70-90 | 70-80 |
| 5 | 200-250 | 170-190 | 170-180 |

Как видно из таблицы сварной шов характеризуется удовлетворительными механическими свойствами. Твердость находится в пределах характеризуемой хорошей обрабатываемостью. Химический состав сварного шва обеспечивает равноценную коррозионную стойкость сварного шва и основного металла.

С целью повышения механических свойств и коррозионной стойкости, металла шва использовались спец.электроды для сварки сталей ДИ-46, ДИ-47 и других высокопрочных сталей со следующим составом покрытия в %-ах: плавиковый шпат 35-40; мрамор 20-28; карбонаты натрия 2-4; кремнезем 2-4; кремнефтористый натрий 5-7; хром 1-3; марганец 1-3; фториды редкоземельных металлов 1-15. На состав покрытия получено авторское свидетельство [11].

При ручной электродуговой сварке сталей ДИ-46 и ДИ-47 не обеспечивается равноценная коррозионная стойкость шва с основным металлом, это подтверждается сравнением химических составов свариваемых сталей существующих электродов. В этой связи были разработаны сварочные электроды со спец.покрытием.

Большинство конструкций из среднелегированных сталей свариваются вручную. К особенностям способа сварки среднелегированных сталей следует отнести использование

низководородистых электродов с фтористо-кальциевым покрытием с применением постоянного тока обратной полярности, короткой дугой выполнение швов каскадным и блочным методами.

Режим для ручной электродуговой сварки сталей 12Х3СМФЮТ (ДИ-46) и 12Х4СМФЮТ (ДИ-47) электродом, имеющим специальное покрытие, приведены в таблице 3.

При сварке 10 мм-ых образцов канавка заполняется тремя, проходами, а при толщине 7 мм – двумя проходами. Охлаждение производится до комнатной температуры после каждого прохода.

Результаты механических испытаний сварных соединений при ручной электродуговой сварке представлены в таблице 4.

Таблица 4. Механические свойства сварных соединений

| Марка сталей | бв, Мпа | α_n МДж/см ² | Уголь загиба α^0 |
|-------------------|---------|--------------------------------|-------------------------|
| 12Х3СМФЮТ (ДИ-46) | 960 | 0,60 | 115 |
| 12Х4СМФЮТ (ДИ-47) | 1000 | 0,66 | 115 |

На рис.1 и 2 представлены соответственно микроstructures сварных швов, из стали ДИ-46 сваренных электродом имеющим специальное покрытие и микроstructures сварных швов сваренных электродом имеющим спец.покрытие стали ДИ-47. Отсюда следует, что структура как основного металла, так и сварного шва и переходной зоны, бейнитная, однако, в связи с тем, что скорость охлаждения сварного шва относительно высокая, ее структура характеризуется мелкозернистостью [12]. По результатам исследования склонность к холодным трещинам сталей ДИ-46 и ДИ-47, разработанным и сваренным соответствующими электродами, характеризуются высокими показателями [13].




Рис. 1. Микроstructures сварных соединений из стали ДИ-46 сваренных электродом, имеющим спецпокрытие: X 400 а) шов HV – 393; б) околошовная зона HV - 377; в) основной металл HV - 368.

Таким образом, разработанный и изготовленный электрод имеющий специальное покрытие предназначенный для ручной электродуговой сварки сталей ДИ-46 и ДИ-47 характеризуются высокими показателями.




Рис. 2. Микроstructures сварных соединений из стали ДИ-47 сваренных электродом, имеющим спец.покрытие: X 450; а) шов HV – 380; б) околошовная зона HV – 334; в) основной металл HV – 364.

Большинство конструкций из среднелегированных сталей свариваются вручную. К особенностям способа сварки среднелегированных сталей следует отнести использование низководородистых электродов с фтористо-кальциевым покрытием с применением постоянного тока обратной полярности, короткой дугой выполнение швов каскадным и блочным методами.

Режим для ручной электродуговой сварки сталей 12Х3СМФЮТ (ДИ-46) и 12Х4СМФЮТ (ДИ-47) электродом, имеющим специальное покрытие, приведены в таблице 3.

При сварке 10 мм-ых образцов канавка заполняется тремя, проходами, а при толщине 7 мм – двумя проходами. Охлаждение производится до комнатной температуры после каждого прохода.

ლიტერატურა – REFERENCES – ЛИТЕРАТУРА

1. Сварка и свариваемые материалы: В 3-х т. Т. I. Свариваемость материалов, Справ. Изд. /Под ред. Э. Л. Макарова - М.: Металлургия, 1991, с. 528
2. Гривняк И. Свариваемость сталей: Пер. со словац. Л.С.Гончаренко: Под. ред. Э.Л.Макарова. М.: Машиностроение. 1984, 216 с.
3. Николаев Г.А., Куркин С.А., Винокуров В.А. Сварные конструкции. Прочность сварных соединений и деформации конструкций: Учеб. Пособие. – М.: Высш. Школа, 1982. 272 с.
4. Кулик В.М., Савицкий М.М. Новая методика оценки стойкости сварных соединений закаливающих сталей против образования холодных трещин // Автоматическая сварка. 2007, №1, с. 11 – 17.
5. Бурский Г.В., Савицкий М.М., Олейник О.И., Сухоярский В.Э. Усовершенствованная методика оценки сопротивляемости металла ЗТВ замедленному разрушению. Автоматическая сварка. 1999, №4, с. 31 – 34.
6. Кулик В.М., Савицкий М.М., Бурский Г.В. Оценка сопротивляемости металла ЗТВ высокопрочной стали замедленному разрушению моделированием релаксации напряжений. Автоматическая сварка. 2005, №5, с. 19 – 25.
7. Стеренбоген Ю. А., Бурский Г. В., Савицкий М.М. О методике Имплант и ее использовании при испытаниях высокопрочных сталей. Сб. Докл. II симп. СЭВ, «Применение математических методов при изучении свариваемости». София: ВМЭИ им. Ленина, 1983. с. 138 – 140.
8. Inagaki M., Tomura H., Araki T. Effek of testing parameters and standardization in inplant cracking test in Japan. –[1980]. -14p. – (Intern. Inst. Of Welding: Doc.IIW IX-1151 -80).
9. Патон Б.Е. Технология электрической сварки металлов и сплавов плавлением, «Машиностроение», М., 1974, с. 461-526.
10. Ющенко К.А., Левченко О.Г., Булат А.В., Безушко О.Н., Самойленко В.И., Мисечко В.В. Санитарно-гигиенические характеристики покрытых электродов для сварки высоколегированных сталей. Киев. 1991. с.256.
11. Авторское свидетельство №104923 «Состав электродного покрытия» 22.06.1989 г.
12. Кальнер В.Д., Зильберман А.Г, Практика микронзондовых методов исследования металлов и сплавов. Металлургия, М., 1981, с.214.
13. Суламанидзе А.К, Хуцишвили М.Г., Даданидзе Г.А. Исследование влияния обмазки на технологическую прочность сварного шва. Georgian Engineering News. 2008. #4. –С. 118-119.

ნავთობსადენებისათვის განკუთვნილი ფოლადების 12Х3СМФЮТ (ДИ-46) და 12Х4СМФЮТ (ДИ-47) ხელით ელექტრო რკალური შეღებვა

მალხაზ ხუციშვილი, გურამ დადიანიძე, ართურ სულამანიძე, ბესიკ სარალიძე

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
რეზიუმე

ნავთობსადენებისათვის განკუთვნილი ფოლადების 12Х3СМФЮТ (ДИ-46) და 12Х4СМФЮТ (ДИ-47) ხელით ელექტრო რკალური შეღებვისათვის დამუშავებულია, დამზადებულია და გამოცდილია ახალი ექტროდი. იგი ხასიათდება მაღალი მაჩვენებლებით.

MANUAL ELECTRIC ARC WELDING STEEL GRADES 12Х3СМФЮТ (ДИ-46) AND 12Х4СМФЮТ (ДИ-47) INTENDED FOR USE IN OIL AND GAS INDUSTRY

Malkhaz Khutsishvili, Guram Dadianidze, Arthur Sulamanidze, Besik Saralidze
Georgian Technical University

SUMMARY

Thus, designed and manufactured by the electrode with a special coating intended for manual arc welding of steels 12Х3СМФЮТ (ДИ-46) and 12Х4СМФЮТ (ДИ-47), are characterized by high rates.

მისალოცი

აკადემიკოსი გიორგი ვლადიმერის ძე ციციშვილი – 95 წლისაა



ღვაწლმოსულ ქართველ მეცნიერს, ცნობილ ქიმიკოსს, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსს, საქართველოს მეცნიერების დამსახურებულ მოღვაწეს **გიორგი ვლადიმერის ძე ციციშვილს** დაბადებიდან 95 წელი უსრულდება.

გიორგი ციციშვილი დაიბადა თბილისში, ცნობილი ექიმის ლადო და მუსიკოსის ქსენია ციციშვილების ოჯახში 1915 წლის 24 ოქტომბერს. 1931 წელს 16 წლის ასაკში დაამთავრა თბილისის №107 გერმანული სკოლა, წარმოებაში მოიპოვა სამუშაო სტაჟი და 1932 წელს გახდა საქართველოს ინდუსტრიული ინსტიტუტის, 1935 წლიდან – თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი. სწავლასთან ერთად იგი მუშაობდა უნივერსიტეტის

ფიზიკის ინსტიტუტის კოსმიური სხივების ლაბორატორიაში.

1937 წელს გიორგი ციციშვილმა წარმატებით დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქიმიის ფაკულტეტი, ჩაირიცხა ასპირანტურაში და 1938 წლის დასაწყისში მივლინებული იყო ქ. მოსკოვში, ლ.კარპოვის სახ. სამეცნიერო-კვლევით ფიზიკურ-ქიმიურ ინსტიტუტში, სადაც ცნობილი მეცნიერის, პროფესორ ალექსანდრე ჟუხოვიცკის ხელმძღვანელობით მოამზადა და 1940 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია. საქართველოში დაბრუნებისთანავე, 1940 წელს გიორგი ციციშვილი მუშაობას იწყებს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქიმიის ფაკულტეტზე, 1941 წლიდან – საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ქიმიის ინსტიტუტში.

II მსოფლიო ომის დროს გიორგი ციციშვილი ასრულებდა სახელმწიფო დავალებებს ქვეყნის თავდაცვითი უნარიანობის ასამაღლებლად, 1944 წელს დაჯილდოვდა მედლით “კავკასიის დაცვისათვის”.

ომის დამთავრების შემდეგ გიორგი ციციშვილმა გააგრძელა კვლევები თეორიული და ექსპერიმენტული ქიმიის დარგში და 1947 წელს დაიცვა სადოქტორო დისერტაცია. ენციკლოპედიაში “მსოფლიოს გამოჩენილი ქიმიკოსები” (მოსკოვი, 1991) აღნიშნულია გიორგი ციციშვილის ამ პერიოდის ფუნდამენტური შრომების ჩამონათვალი ნივთიერების აღნაგობის შესწავლის დარგში – მოლეკულათაშორისი წყალბადური ბმის წარმოქმნის დროს წყალბადშემცველი ჯგუფის პოტენციური მრუდის ცვლილება და ვალენტური რხევების სიხშირის შემცირება (1939-42), ჰალოგენწყალბადების ასოციაციის თეორიული დასაბუთება და მათი ფიზიკურ-ქიმიური პარამეტრების გაანგარიშება (1942-50), მოლეკულებს შორის განზიდვაზე პოლარობის გავლენის შესახებ ამოცანის ჩამოყალიბება და მისი გადაწყვეტის კვანტურ-ქიმიური მეთოდის შემუშავება (1944-47).

ამავე 1947 წელს, დისერტაციის დაცვამდე გიორგი ციციშვილი დაინიშნა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ქიმიის ინსტიტუტის დირექტორად და არჩეულ იქნა ფიზიკური ქიმიის ლაბორატორიის გამგედ. გიორგი ციციშვილის ხელმძღვანელობით ჩატარდა შრომატევადი სამუშაო ინსტიტუტის სტრუქტურის და ძირითადი სამეცნიერო მიმართულებების დასახვეწად,

კვლევითი ბაზის შესაქმნელად, მისი ძალისხმევით 1950 წელს მთავრობის დადგენილებით ინსტიტუტს აღუდგა პეტრე მელიქიშვილის სახელი.

გიორგი ციციშვილის ხელმძღვანელობით ინსტიტუტის ფიზიკური ქიმიის ლაბორატორიის ძირითადი სამეცნიერო მიმართულება გახდა სორბციული პროცესების კვლევა. ცნობილი მეცნიერი, აკადემიკოსი მიხეილ დუბინინი 1976 წელს წერდა – “გიორგი კლადიშვილის ძე ციციშვილმა შექმნა საქართველოს აღსორბციული სკოლა”. გიორგი ციციშვილის ხელმძღვანელობით აღიზარდა მაღალკვალიფიციური კადრები და შეიქმნა ექსპერიმენტული ბაზა თანამედროვე ფიზიკურ-ქიმიური კვლევების ჩასატარებლად, გამოკვლეულია სორბციული პროცესების სტატიკა, კინეტიკა და ენერგეტიკა. გამოკვლევის ობიექტებს ჯერ წარმოადგენდა საქართველოს მონტმორილონიტური თიხები, ხოლო 1960-იანი წლების დასაწყისიდან – სინთეზური და ბუნებრივი ცეოლითები, ცეოლითმაგვარი და სხვა მასალები. მონტმორილონიტური თიხების კვლევის შედეგად მიღებულია ახალი მონაცემები მათი აღნაგობის, მჟავური აქტივაციის პროცესის, სორბციული ჰისტერეზისის ხასიათის, ორთქლის სორბციული კინეტიკის, ულტრაფორიანობის ეფექტის, თიხებზე რადიოაქტიური იონების სორბციისა და სხვა თვისებების შესახებ. ამ მონაცემების თანახმად მონტმორილონიტები გვევლინება როგორც არაერთგვაროვანი სორბენტები მიკროფორებით და გარდამავალი ფორმებით, ეს უკანასკნელები განაპირობებენ სორბციულ მოცულობას, ასევე მნიშვნელოვანია ნაწილაკების გარე და შიგა აღსორბციული სივრცის განსხვავება.

გიორგი ციციშვილის პირველი მონოგრაფია, “სორბციული პროცესები” (თბილისი, 1959), სადაც გადმოცემულია ძირითადი თეორიული წარმოდგენები ორთქლისა და გახსნილი ნივთიერების სორბციის შესახებ, კვლევის ექსპერიმენტულ მეთოდებსა და ცდების უმნიშვნელოვანეს მონაცემებთან შერწყმით, დღესაც სამაგიდო წიგნია სპეციალიტებისათვის.

გიორგი ციციშვილის ხელმძღვანელობით ჩატარებულია სამუშაოების დიდი ციკლი ცეოლითური მოლეკულური საცრების – აღსორბენტების, იონმიმომცველებისა და კატალიზატორების მისაღებად. შემუშავებულია ცეოლითების ჰიდროთერმული სინთეზის მეთოდები როგორც განსაკუთრებით სუფთა რეაქტივების, ასევე ბუნებრივი ალუმინსილიკატების, ძირითადად საქართველოს პერლიტისა და კლინოპტილოლიტ-შემცველი ტუფების გამოყენებით. კერძოდ, მოწოდებულია პერლიტის კომპლექსური გამოყენების მეთოდიკა A და X ტიპის ცეოლითების მისაღებად. დიდი ყურადღება ეთმობოდა სხვადასხვა კათიონური ფორმის მიღებას და იონმიმომცველი პროცესების კვლევას, მომზადებულია ლითიუმის, კალიუმის, ცეზიუმის, ბარიუმის, ტყვიის, ნიკელის, კობალტის, კადმიუმის, სპილენძის, ვერცხლის და სხვა ცეოლითები. მიღებული ნიმუშების აღნაგობისა და თვისებების გამოკვლევა მიმდინარეობდა სორბციული, ქრომატოგრაფიული, სხვადასხვა სპექტრული, თერმოგრაფიული, კატალიზური და სხვა მეთოდებით. შესწავლილია ცეოლითების თვისებებზე მათი ტიპის, კათიონის სახეობისა და ჩანაცვლების ხარისხის გავლენა, გამოვლენილია ცეოლითებზე სხვადასხვა ნივთიერების მოლეკულების ურთიერთქმედების თავისებურება, რაც მიმდინარეობს კათიონებზე, ალუმინსილიკატური კარკასის მონაწილეობით. ცეოლითების ზედაპირის ენერგეტიკული რელიეფის მიკროკალორიმეტრული შესწავლის საფუძველზე მოწოდებულია ნახშირწყალბადების, ნახშირბადის დიოქსიდის, ამიაკისა და სხვა მოლეკულების აღსორბციის მექანიზმი განსხვავებული სტრუქტურის ცეოლითებზე. ინფრაწითელი სპექტროსკოპიის გამოყენებით დადგენილ იქნა L, ომეგა, ერიონიტის და ოფრეტიტის ტიპის ცეოლითების აღსორბციული ცენტრების ბუნება და მათი ფორმირების მექანიზმი. ცეოლითური კატალიზატორების შექმნასთან დაკავშირებით შესწავლილია დეკათიონირებული ფორმები და მიღებულია ულტრასტაბილური ცეოლითები.

გიორგი ციციშვილმა დიდი ინტერესი გამოავლინა საქართველოს ბუნებრივი ცეოლითების შესწავლისადმი და გახდა ამ ძვირფასი ნედლეულის შესწავლის, წარმოების ორგანიზებისა და პრაქტიკაში გამოყენების ერთ-ერთი მთავარი ინიციატორი. გიორგი

ციციშვილის და მისი თანამშრომლების, ქართველ მეცნიერთა და ინჟინერთა მეცნიერული და საორგანიზაციო მუშაობის მეოხებით, თბილისი ცეოლითების კვლევის და გამოყენების აღიარებული სამეცნიერო ცენტრია. 1985 წელს გამოვიდა (გამომცემლობა “ქიმია”, მოსკოვი) გ.ციციშვილის, თ.ანდრონიკაშვილის, გ.კიროვის და ლ.ფილიზოვას მონოგრაფია “ბუნებრივი ცეოლითები”, რომელიც 1990 წელს გამოცემული იყო პოლონურ ენაზე, ხოლო მისი განახლებული რედაქცია ინგლისურ ენაზე გამოვიდა 1992 წელს. ცნობილი ქიმიკოსი ტავერესი წერდა (Zeolites, 1993, v. 13, p. 503), რომ ეს წიგნი “...იმსახურებს უმაღლეს რეკომენდაციას, რადგანაც იგი გამოსაყენებელია მრავალი დარგის სპეციალისტებისათვის”.

გიორგი ციციშვილი აქტიურად თანამშრომლობდა აღსორბციის დარგში მსოფლიოს წამყვან სამეცნიერო-კვლევით ორგანიზაციებთან და ავტორიტეტულ სპეციალისტებთან. 1958-59 წლებში იგი ეწვია ჩეხოსლოვაკიას და ამ ვიზიტების შედეგი იყო მრავალწლიანი ნაყოფიერი თანამშრომლობა ქართველ, ჩეხ და სლოვაკ ქიმიკოსებს და ტექნოლოგებს შორის, კერძოდ – ქიმიის ინსტიტუტთან, ქ. პრაღა, რომელსაც ხელმძღვანელობდა აკადემიკოსი რუდოლფ ბრდიჩკა. ასევე ნაყოფიერი იყო გიორგი ციციშვილის ვიზიტები კუბის (1986, პროფესორი კარლოს გუტიერესი) და ვიეტნამის (1990, პროფესორი ხო ში თხონგი) სამეცნიერო კვლევების ეროვნულ ცენტრებში. გიორგი ციციშვილმა დიდი წვლილი შეიტანა აღსორბციული მოვლენების კვლევების იმ საერთაშორისო კომპლექსური პროგრამის შექმნასა და განხორციელებაში, რომლის ფარგლებში მრავალი წლის განმავლობაში მუშაობდნენ საბჭოთა კავშირის და ე.წ. “სოციალისტური ბანაკის” მკვლევარები ისეთი ცნობილი მეცნიერების ხელმძღვანელობით, როგორებიცაა მიხეილ დუბინინი, კონსტანტინე ნიკოლაევი, ნიკოლაი პოლიაკოვი, ვლადიმერ სერპინსკი, ზოია გრიაზნოვა, ვალტერ შირმერი, ჰარი პფაიფერი, მარტინ ბიულოვი, გიორგი კიროვი და მრავალი სხვა. 1969 წელს ქ. ბრისტოლში (დიდი ბრიტანეთი) გამართულმა კონფერენციამ, რომელიც მიეძღვნა მყარი სხეულების ზედაპირის კვლევას, სტიმული მისცა გიორგი ციციშვილისა და აღსორბციის და ცეოლითების კვლევის დარგში აღიარებული ავტორიტეტის, პროფესორ რიჩარდ ბარერის მრავალწლიან საქმიან ურთიერთობას. გიორგი ციციშვილს ასევე მჭიდრო მეცნიერული კონტაქტები ჰქონდა ისეთ გამოჩენილ მეცნიერებთან, როგორებიცაა გეზა შაი, ლეონარდ სენდი, დონალდ ბრეკი, ედიტ ფლენიგენი, ჯონ ვარდი, ვალტერ მაიერი, ფრედ მამპტონი, რიჩარდ შეპარდი, ჰიდუო მინატო, ჰელმუტ კარგე, ლოვატ რისი და სხვ.

1950 წელს გიორგი ციციშვილი აირჩიეს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მათემატიკური და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა განყოფილების წევრ-კორესპონდენტად, 1960 წელს – აკადემიკოსად, ხოლო 1963 წელს – საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის წევრად და ამავე წელს ჩამოყალიბებული ქიმიისა და ქიმიური ტექნოლოგიის განყოფილების აკადემიკოს-მდივნად. თითქმის სამი ათეული წლის განმავლობაში გიორგი ციციშვილი სათავეში ედგა საქართველოში ქიმიისა და ქიმიური ტექნოლოგიების განვითარებას. 1989 წლიდან იგი არის საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის მრჩეველი და პეტრე მელიქიშვილის სახ. ფიზიკური და ორგანული ქიმიის ინსტიტუტის საპატიო დირექტორი.

გიორგი ციციშვილის და მისი თანამშრომლების სამეცნიერო ნაშრომები დაჯილდოებულია საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პეტრე მელიქიშვილის (1965) და ალექსანდრე თვალჭრელიძის (1987) სახელობის პრემიებით, გიორგი ციციშვილის სამეცნიერო და საზოგადოებრივი მოღვაწეობა – მრავალი მედლით და ორდენით, მათ შორის საბჭოთა კავშირის “ხალხთა მეგობრობის” (1985) და საქართველოს “ღირსების” (1995) ორდენებით.

გიორგი ციციშვილმა დიდი ძალა მოახმარა სამეცნიერო-ორგანიზაციულ მუშაობას – მისი ინიციატივით 1953 წლიდან ტარდებოდა საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთის მეცნიერებათა აკადემიების ქიმიის ინსტიტუტების გაერთიანებული სამეცნიერო სესიები, აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა საკავშირო მეცნიერებათა აკადემიის აღსორბენტების

სამეცნიერო საბჭოს მუშაობაში და 1981 წლიდან იყო ცეოლითების კომისიის თავმჯდომარე, 1975 წლიდან მისი ინიციატივით გამოდის ჟურნალი “საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მაცნე, ქიმიის სერია”, 1977 წელს გიორგი ციციშვილი არჩეული იყო ცეოლითების საერთაშორისო ასოციაციის (IZA) საბჭოს წევრად, 1992 წელს მან ჩამოაყალიბა ცეოლითების საქართველოს ასოციაცია, რომელიც მისი თაოსნობით 1998 წელს გახდა ევროპის ცეოლითების ასოციაციათა გაერთიანების (FEZA) წევრი; 1992 წლიდან გიორგი ციციშვილი რედაქტორია ოთხენოვანი (ქართული, რუსული, ინგლისური, გერმანული) ქიმიური ლექსიკონისა, რომელიც დაიბეჭდა 2004 წელს.

გიორგი ციციშვილი აქტიურ მონაწილეობას ღებულობს სამეცნიერო ფორუმების ორგანიზებასა და მუშაობაში, მათ შორის აღსანიშნავია თბილისში, სოხუმსა და საქართველოს სხვა ქალაქებში ჩატარებული კონფერენციები და სიმპოზიუმები ცეოლითების კვლევისა და გამოყენების საკითხებზე, ასევე UPAC-ის კონგრესი (მოსკოვი, 1965), საერთაშორისო კონფერენციები მიძღვნილი ზედაპირული მოვლენების (ბრისტოლი, 1969), მოლეკულური საცრების (ვუსტერი, აშშ, 1970; ციურიხი, 1973, და სხვ.), ადსორბციის საკითხების შესწავლისადმი (ფლორენცია, 1971), პირველი საერთაშორისო კონფერენცია ბუნებრივი ცეოლითების კვლევის შესახებ (ტუსონი, აშშ, 1976) და სხვა სიმპოზიუმები (ბერლინი, 1978; ბუდაპეშტი, 1985; ტოკიო, 1986).

1981-1990 წ.წ. ბატონი გიორგი ხელმძღვანელობდა “ქიმიური კომპლექსის” სპეციალურ კომისიას, რომელიც ამუშავებდა ქიმიის სფეროში მეცნიერებისა და ტექნოლოგიების და მთლიანად, დარგის განვითარების გრძელვადიან პროგნოზებს. მონაცემები შეტანილია საქართველოს მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის კომპლექსურ პროგრამაში.

გიორგი ციციშვილი ყოველთვის დიდ ყურადღებას უთმობდა პედაგოგიურ მოღვაწეობას. 1940 წლიდან თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქიმიის ფაკულტეტზე, რომლის პროფესორი გიორგი ციციშვილი გახდა 1949 წელს, მას წაკითხული აქვს ლექციების კურსი, 1996 წელს თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობაში გამოვიდა გიორგი ციციშვილის მონოგრაფია “კვანტური ქიმია”.

ვულოცავთ სახელოვან იუბილეს ბატონ გიორგის, ჭეშმარიტ ქართველ ინტელიგენტს, დიდ მეცნიერს, რომელმაც განსაკუთრებული ღვაწლი დასდო საქართველოში ქიმიური მეცნიერების წინსვლას და დღესაც შემოქმედებით ძიებაშია, ეწევა მნიშვნელოვან საქმიანობას ქართული მეცნიერების სასიკეთოდ, და ვუსურვებთ ჯანმრთელ, ხანგრძლივ, ბედნიერ სიცოცხლეს.

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის
ქიმიისა და ქიმიური ტექნოლოგიების განყოფილება

პეტრე მელიქიშვილის ფიზიკური და ორგანული ქიმიის ინსტიტუტი
ჟურნალ “მაცნე, ქიმიის სერიის” სარედაქციო კოლეგია

CONGRATULATION

Department of Chemistry and Chemical Technology of the Georgian National Academy of Sciences, the Petre Melikishvili Institute of Physical and Organic Chemistry, and the Editorial Board of Proceedings of the Georgian National Academy of Sciences, chemical series, congratulate Member of the Georgian National Academy of Sciences Giorgi Tsitsishvili, wonderful person, well known and honoured scientist, Doctor of Chemical Sciences with jubilee of 95th anniversary and desire him long happy life.

ПОЗДРАВЛЕНИЕ

Отделение химии и химической технологии Национальной Академии наук Грузии, Институт физической и органической химии им. П.Г.Меликишвили и Редакционная коллегия химической серии Известий Национальной Академии наук Грузии поздравляют известного учёного, доктора химических наук,

профессора, заслуженного деятеля науки, академика НАН Грузии Георгия Владимировича Цицишвили со славным юбилеем – 95-летием со дня рождения и желают ему долгих лет счастливой жизни.

ინფორმაცია ავტორებისათვის

ჟურნალი “საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მაცნე. ქიმიის სერია” აქვეყნებს სტატიებს ქიმიური მეცნიერების დარგში ქართულ, ინგლისურ და რუსულ ენებზე; მიმოხილვებისა და ინფორმაციული ხასიათის მასალების წარმოდგენა შესაძლებელია სარედაქციო კოლეგიასთან შეთანხმებით. გამოსაქვეყნებელი მასალის მოცულობა, ფორმატი და მისი წარმოდგენის სხვა პირობები შეთანხმებული უნდა იყოს პასუხისმგებელ მდივანთან, ავტორებმა ტექსტი უნდა წარმოადგინონ ელექტრონულ ფორმაში, Microsoft Word ფაილის (*.doc ან *.rtf) სახით, ნახაზები და სურათები – jpg-ფაილების სახით. სამეცნიერო სტატიების ავტორების დასახმარებლად რედაქციის მიერ გათვალისწინებულია როგორც სტანდარტული ელექტრონული ფორმატები სამივე ენაზე, ისე სხვა ტექნიკური მომსახურება.

INFORMATION for AUTHORS

The journal “**Proceedings of the Georgian National Academy of Sciences. Chemical series**” is publishing articles in a field of chemical sciences in Georgian, English, and Russian, reviews and informational/advertising materials may be submitted after consultations with the Editorial Board. Volume, format, and other details of contribution are to be discussed with the Executive Secretary; Authors submit texts of articles in a form of Microsoft Word files (*.doc or *.rtf), figures and pictures – as jpg-files. To help Authors of scientific articles, standard Georgian, English, and Russian formats are provided as well as other technical service and support.

ИНФОРМАЦИЯ ДЛЯ АВТОРОВ

Журнал "Известия Национальной Академии наук Грузии. Серия химическая" публикует статьи и краткие сообщения в области химических наук на грузинском, английском и русском языках; обзорные статьи и материалы информационного характера публикуются по предварительному согласованию с редакционной коллегией. Объем, формат и условия представления материала для публикации следует согласовать с ответственным секретарем; авторы должны представить тексты в виде файлов Microsoft Word (*.doc или *.rtf), рисунки, чертежи и фотоснимки – в виде jpg-файлов. Для оказания помощи авторам научных статей, редакция предусматривает стандартные электронные формы на всех трех языках, а также другую техническую поддержку.